# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 12 აპრილი 2007 №80 (3003) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა





## ბაიერნი: სარდელი ორი პირისთვის

## იტალიური ოპერა გერმანულ სცენაზე: ზეედორფმა და ინძაგიმ მიუნხენი აატირეს

# გატყდება ყრილობა ვადაში?



[illegible] ფოტო

**ნოდარ ახალკაცი** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად 2005 წლის 11 ივნისს აირჩიეს.

ფედერაციის მაშინდელ ყრილობას „ქორთიარდ-მარიოტში" ბევრი ხალხი დაესწრო, ხმის უფლებით კი სულ 26 იყო, მათგან ყველამ, ერთის გარდა, უალტერნატივო ახალკაცის გაპრეზიდენტებას მისცა ხმა.

ის ყრილობა რიგგარეშე იყო, ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია სატრანსფერო თანხების მითვისების ბრალდებით დაიჭირეს და, ვინაიდან ფეხბურთის ფედერაციას ახალი უფროსი სჭირდებოდა, ყრილობა და პრეზიდენტის არჩევნები აუცილებელი გახდა. ყრილობამდე ახალკაცის გარდა რამდენიმე კანდიდატი იყო, მაგრამ როცა გაირკვა, რომ ნოდარ ახალკაცს ხელისუფლებაც უჭერდა მხარს, სხვებმა კანდიდატურები წინასწარვე მოხსნეს.

ახლა კი იმ რიგგარეშე ყრილობიდან თითქმის ორი წელი გავიდა უკვე, ახალი საარჩევნო-საანგარიშო ყრილობის დროც ახლოვდება.

როდის გაიმართება ფეხბურთის ფედერაციის მორიგი ყრილობა? ამ კითხვაზე პასუხი ბევრს აინტერესებს და ბევრიც თავის ვარაუდებს გამოთქვამს.

როგორც გავიგეთ, ყრილობის თარიღი ჯერ კიდევ დაუზუსტებელია. ამბობენ, ფედერაციის ხელმძღვანელობას ყრილობის ჩატარების სურვილი სანკრებო, ანუ 2 ივნისს ლიტვაში მატჩამდე აქვსო. იმასაც ამბობენ, რომ მოახლოებული ყრილობის თარიღი ფედერაციის 16 აპრილის აღმასკომის სხდომამ უნდა დაადგინო.

ვნახოთ. იმედი გვაქვს, ამ ყრილობაზე მაინც საპრეზიდენტო არჩევნები უალტერნატივო არ იქნება.

**კობა ინასარიძე**

# მიუნხენი წააგებს, მათე მოიგებს



მეორე ბუნდესლიგის „მიუნხენის" მცველმა მათე ლვინიანიძემ ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ ახლა მის გუნდს ისეთი წარმატებული პერიოდი აქვს, მწვრთნელი ვალტერ შახნერი ძირითად შემადგენლობას ალბათ არ შეცვლის, მით უმეტეს, რომ მისმა გუნდმა წინა ტურში ლიგის ლიდერ „კარლსრუეს" მოუგო...

ჩვენ, ბუნებრივია, მიუნხენელთა ჩვენიანის მათე ლვინიანიძის ამბავი გვაინტერესებს და როცა მას დავუკავშირდით, ცხადია, უთამაშებლობის მიზეზი ვკითხეთ. მათეს პასუხიც ისეთი იყო, როგორსაც ველოდით, გუნდი კარგად თამაშობს, მწვრთნელი კი ძირითად შემადგენლობას ალბათ არც მომავალი ტურისათვის შეცვლისო.

ერთი სიტყვით, ტრავმამოშუშებული მათე ლვინიანიძე ჯერჯერობით სათადარიგოთა შორისაა, მაგრამ, ეს ალბათ დროებითია და „მიუნხენის" პირველივე წარუმატებლობის შემდეგ ის ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება.

**კობა ინასარიძე**

# ვადაჭკორია ევროპის ჩემპიონატზე გავიდა



17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს წლეულს ბელგია უმასპინძლებს — კონტინენტის პირველობა რვა საუკეთესო გუნდს შორის 2-13 მაისს გაიმართება.

უეფას მსაჯთა კომიტეტმა ამ ტურნირზე ერთ-ერთ მთავარ მსაჯად ქართველი გიორგი ვადაჭკორია მიიწვია. იგი 17-წლამდელთა ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე ყველაზე ახალგაზრდა მთავარი მსაჯი იქნება.

# ზემერი ზერელედ არ უნდა ლაპარაკობდეს



„ფრაიბურგი", „კარლსრუე", „მაინცი"... დავით სირაძეს ერცგებირგეს აუე-სთან კონტრაქტი სეზონის დასრულების შემდეგ უმთავრდება და შესაძლოა, ამ გუნდთაგან რომელიმეში გადავიდეს — ყოველივე ეს ადრეც გაუწყეთ, ახალი კი ისაა, რომ სირაძეს მსურველ კლუბებს ერთიც მიემატა.

სირაძის აგენტი მიხაელ ზეერი ახლა როსტოკის „ჰანზასთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. ეს ცნობა სირაძემაც დაგვიდასტურა. „ჰანზა" მეორე ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა, ხუთი ქულით უსწრებს მესამე ადგილზე მყოფ „დუისბურგს" და ძნელად, პირველი ბუნდესლიგის საგზურს ვერ შეწვდეს.

სირაძით „აუგსბურგი" და „კაიზერსლაუტერნიც" არიან დაინტერესებულნი.

**დავით თავართქილაძე**

# გოჩა გოგრიჭიანი მარგალიტებს ექებს



**საქართველოს** ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი გოჩა გოგრიჭიანი სოჭის „ჟემჩუჟინას" უბრუნდება.

თავის დროზე ამ კლუბში გოგრიჭიანის გარდა დავით ჯანაშია, ზურაბ იონანიძე და გიორგი გოგიაშვილიც თამაშობდნენ. ექვსი წელია, სოჭური კლუბი რუსეთის არც ერთ ლიგაში აღარ ჩანს, აგერ, ახლა ხელმეორედ „დაბადებულა" და მის აღორძინებაში ჩვენებურის წვლილიც იქნება. გუნდის მწვრთნელები ცნობილი არსენ ნაიდენოვი და გოჩა გოგრიჭიანი იქნებიან. სოჭელები სამოყვარულო ლიგიდან დაიწყებენ ბრძოლას და სამ-ოთხ წელიწადში რუსეთის პრემიერლიგაში დაბრუნებას აპირებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფეხბურთი სახელმწიფოს გარეშე

## უეფა ფიფაში სათქმელს ამზადებს



[illegible] ფოტო

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა შვეიცარიაში იმყოფებიან და დღეს უეფას მაღალჩინოსნებს შეხვდებიან. საქმე ისაა, რომ უეფა ინიციატივით გამოდის, შეიცვალოს წესდების ერთ-ერთი მუხლი და ამასთან დაკავშირებით თავისი წევრი ქვეყნების ფედერაციათა ხელმძღვანელებთან კონსულტაციებს იწყებს.

უეფას წესდებაში კი, სავარაუდოდ, ის მუხლი შეიცვლება, სადაც სახელმწიფოსა და ფედერაციის ურთიერთობაზეა ლაპარაკი. უეფას ახალი ხელმძღვანელობის სურვილია, რომ სახელმწიფო ფეხბურთს მაქსიმალურად ჩამოშორდეს და ფედერაციებს ერთპიროვნული მართვა უფრო გაუიოლდეთ. უეფაში იმ ქვეყნების მიმართ სანქციების გამკაცრება სურთ, სადაც სახელმწიფო სულ მცირე დოზით, მაგრამ მაინც ერევა ფედერაციის საქმეებში. აქამდე კი საამისო მაგალითი რამდენიც გნებავთ, იმდენი იყო. თუ გახსოვთ, 11 წლის წინ ფიფა და უეფა საქართველოსაც დაემუქრნენ, ფედერაციას მუშაობა აღროვეთ, თორემ საერთაშორისო ფეხბურთი უკან დაგრჩებათო. მაშინ საქართველო გადარჩა, მაგრამ ვერ გადარჩა აზერბაიჯანი, რომელიც გარკვეული დროით ფიფა-უეფადან მოკვეთილი იყო, ხოლო ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი ბოლო წუთს შეიბრალეს, ქვეყნის მთავრობამ თავისი სიტყვა, ფედერაციის პრეზიდენტი უნდა გადადგესო, უკან წაიღო და იმიტომ.

უეფაში სტუმრიანობის მიზეზიც სწორედ ის გახლავთ, რომ ამ ორგანიზაციამ მაქსიმალური ინფორმაცია მიიღოს ქვეყნებში სახელმწიფოს და ფედერაციის ურთიერთობის შესახებ.

„29-30 მაისს ფიფას კონგრესია დაგეგმილი, ხოლო უეფა 28 მაისს საგანგებო კონფერენციის მოწვევას აპირებს, სადაც მსჯელობა სწორედ ფედერაციისა და სახელმწიფოს, უფრო სწორად, პოლიტიკასთან ფეხბურთის ნაკლებად დაკავშირებაზე იქნება. უეფა ფიფას კონგრესზე ამ საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას. ხუთშაბათის შეხვედრა კი 28 მაისის კონფერენციისთვის მოსამზადებლად ითვლება, უეფას ხელმძღვანელებს თავისი წევრი ფედერაციების აზრი აინტერესებთ," — გვითხრა გუშინ ნიონში მყოფმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა უჩა უგულავამ.

**კობა ინასარიძე**

დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს

გამოიცანი თერთმეტი თამაში

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში

ჯეკპოტი გახდა 7000 ლარი!!!

ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!

ბილეთის ფასი 2 ლარი



აქსისი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი

სარბიელი

13 აპრილი, მე-20 ტური

| | |
|---|---|
| ბორჯომი — ტორპედო | ვიტ ჯორჯია — ოლიმპი |
| ამერი — სიონი | მაინცი — შალკე |
| დილა — კახეთი | მესინა — მილანი |
| დინამო — ზესტაფონი | ალკმაარი — ვიტესი |
| ბათუმი — ლოკომოტივი | დნიპრო — ხარკოვი |
| ჩიხურა — მერანი | |

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# მაღალი კაცის გადასახედი



დიდებული წელიწადი იყო 1978: თბილისის „დინამომ" თითქოს ყველა უიღბლობა დაივიწყა, მეტოქეს თითქოს ვერ ხედავდა და ჩემპიონობის გარდა არაფრის გაგონება არ სურდა. ტაშკენტის 1964 წლის „ოქროს მატჩის" შემდეგ „დინამო" ერთხელ თუ იდგა საბჭოეთის ჩემპიონობის ზღვარზე, 78-ში კი ნოდარ ახალკაცის ანსამბლმა პირველი ტურიდან რომ დაიწყო, ერთი ამოსუნთქვით განვლო 30-ტურიანი მარათონი.

ფირუზ კანთელაძე — იმდროინდელი „დინამოს" შეუცვლელი ახოვანი მცველი სიამოვნებით იხსენებს „ოქროს სეზონს". ტრაბახში არ ჩამომართვათ და, ორი სასტარტო თამაშის შემდეგ უკვე ვგრძნობდით, რომ ვერავინ შეგვაჩერებდაო, გვითხრა კანთელაძემ.

ილია ნანობაშვილი



## დინამო გრძნობდა

ჩემპიონატი კიევის „დინამოსთან" და მოსკოვის „სპარტაკთან" მოგებებით დავიწყეთ. აქ უკვე ვიგრძენით, რომ საუკეთესონი უნდა ვყოფილიყავით. კიეველები და დონეცკის „შახტიორი" მთელი სეზონი გვდევდნენ, მაგრამ ჩვენ ვიგებდით და ვიგებდით, დაწევის საშუალებას არ ვაძლევდით. თან რაღაცნაირად იღბლიანი სეზონი იყო, არც ერთ დინამოელს სერიოზული ტრავმა არ მიუღია. ეგაა, ვიტალი დარასელია ავადმყოფობდა ხანდახან, მაგრამ ერთ-ერთ გადამწყვეტ მატჩში სწორედ მისი გოლით ვიმარჯვეთ — ცხონებულმა ოდესაში „ჩერნომორეცთან" 1:0 მოგვაგებინა. „ჩერნომორეცი" გრანდი არ იყო, მაგრამ კიევის „დინამოს" გულისთვის ყველა უკრაინული გუნდი ჩვენთან თავს იკლავდა, რათა კიეველთა კონკურენტი გაემწარებინა.

ჩემპიონები მოსკოვში გავხდით, „ლოკომოტივთან" ქულა გვყოფნიდა და ფრე ვითამაშეთ. დიდი ზარზეიმი არ გვქონია, შამპანური დავლიეთ და ეგ იყო. ემოციებს მაშინ უფრო გამოხატავ, როცა ძნელად მიიღწევა გამარჯვება. „მერე რა მოხდა, რომ ჩემპიონები გავხდით? ასეც უნდა ყოფილიყო" — ასეთი იყო ჩვენი მიდგომა.

## მაგრად ვიდექით და ვიდექი

არ მახსოვს, იმ წელიწადს რომელიმე გუნდთან ძალიან გაგვჭირვებოდა. კი, ჩავაგდეთ „ჩერნომორეცთან" საშინაო მატჩი, როცა 3:0 ვიგებდით და 3:3 ვითამაშეთ, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ეს შემთხვევითობა იყო. ამ მატჩზე თქვეს, ჩაწყობილი იყოო, თუმცა 3:3-ის ჩაწყობა ვის გაუგია...

1978-ში ორი თამაში გამოვტოვე დისკვალიფიკაციის გამო. თბილისში „ლოკომოტივთან" მატჩში გამაძევეს, არადა, გასაწითლებელი არ ვიყავი. იმ სეზონში გოლი არ გამიტანია, მაგრამ დაცვაში მაგრად ვიდექი და მართლაც კარგი თამაშები ჩავატარე. ღმერთს მადლობას ვუხდი, რომ ასეთ გუნდში მომიწია თამაშმა და ჩემი წვლილი შევიტანე „დინამოს" ჩემპიონობაში. ხშირად ამბობენ, კანთელაძე უხეშობდაო, მაგრამ ჩემთან ბრძოლაში ვინმეს სერიოზული ტრავმა მიეღო, არ მახსენდება.

## ბლოხინი დაფრინავდა და ჰაერში იგინებოდა

არიან ისეთი თავდამსხმელები, რომლებისთვისაც დაცვის გარღვევა მაკრატლით ქაღალდის გაჭრასავით ადვილია. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, ედუარდ სტრელცოვის წინააღმდეგ რომ მომიწია თამაშმა — ერთ მომენტში ზურგით იდგა ჩემგან, „პადსებია" გამიკეთა და გოლი გაგვიტანა.

ოლეგ ბლოხინი კი რაკეტასავით იყო. ის რომ მოედანზე გვეგულებოდა, სამი მცველი ზამბარასავით ვიყავით დაჭიმულები. მას დღეს რომ ეთამაშა, რონალდოზე და ანრიზე არანაკლებ სახელიანი იქნებოდა. ბლოხინს ვერ გამოეკიდებოდი, განუმეორებელი სისწრაფე და თან ორივე ფეხით ძლიერი დარტყმა ჰქონდა. რამაზ შენგელია ხომ ბრწყინვალე იყო, მაგრამ ბლოხინს მაინც ვერ შევადარებდი...

იმ სეზონში ბლოხინის კიევის „დინამოს" შინ 1:0 მოვუგეთ, სტუმრად კი 1:1 ვეთამაშეთ. ერთხელ მან ბურთი მოედნის კიდესთან მიიღო და ეგრევე სარმა გამოვედე, ჰაერში ავარდა, შემოხედა და ჰაერშივე დედა შემაგინა. მეც შევაგინე. ორივემ ისე გაბრაზებულ გულზე შევუყვირეთ ერთმანეთს, მგონი, მაყურებლებმაც გაიგეს.

დონეცკის „შახტიორის" ფორვარდი ვიტალი სტარუხინი ბლოხინივით მრავალფეროვანი არ იყო, მაგრამ მისი დაჭერა არ გინდოდა?! სასწაულად თამაშობდა თავით, მაღალ ბურთზე ისე ხტებოდა და ისეთ წერტილს იჭერდა, გაგიკვირდებოდა კაცს. როგორც ტანმაღალი, სტარუხინს უმეტესად მე ვმეურვეობდი, ბევრჯერ დავამტვრიეთ ერთმანეთს თავ-პირი. იმ სეზონში ბლოხინი და სტარუხინი ყველაზე ძლიერი ფორვარდები იყვნენ, ვისთანაც მითამაშია.

## 78 ფეხბურთელებმა უფრო მოვიგეთ

ნოდარ ახალკაცი უდავოდ მცოდნე სპეციალისტი იყო, მისი „დინამოში" მოსვლისთანავე შედეგიც მოვიდა. თუმც, თუ ფეხბურთელები არ გყავს, ძნელად, მწვრთნელმა რაიმე გააკეთოს. 1978 წლის ჩემპიონობა ფეხბურთელების დამსახურება უფრო იყო, ვიდრე ახალკაცის — ყველა რგოლში ლიდერი გვყავდა. დავით გოგია ძალიან ძლიერი მეკარე იყო, მისნაირი რეაქცია იშვიათად მინახავს, ეგაა, გამოსვლაზე უჭირდახოლმე. ნახევარდაცვაში მანუჩარ მაჩაიძის დარ ლიდერს ბევრი ინატრებდა, ლაღად მიჰყავდა თამაში და ერთი სიამოვნება იყო მისი ყურება. თავდასხმაზე კი მე რა ვთქვა, ვინც იყო, ყველა ვარსკვლავი იყო.



## დინამო ქართული ენის დასაცავად

სწორედ 78-ის აპრილში იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხალხის გამოსვლას დინამოელებიც რომ შევუერდით, ქართული ენის დასაცავად ერთ მუშტად შევიკარით. რაღაცნაირად უფრო დაგვმუხტა ამ ფაქტმა, თუმც მონდომება და პროფესიონალიზმი არც იქამდე გვაკლდა.

იმ სეზონში მსაჯობაზე აუგს ვერ ვიტყვი. ის 1977 წლის ბოლოს იყო, ბალტიისპირელმა არბიტრმა იუშკამ „ზარიასთან" საშინაო მატჩში ჩემპიონობა რომ წაგვართვა. სუფთა პენალტი არ დაგვიდო, 0:0 დამთავრდა თამაში და კიევის „დინამომ" ამის წყალობით გაგვასწრო.

## მეტი დაფასება უნდა გვქონოდა

მაშინდელ „დინამოში" ფეხბურთელებს 300-400 მანეთი გვქონდა ხელფასი, მოგებაზე კი 200 მანეთს გვაძლევდნენ პრემიას. 78-ში ჩემპიონები რომ გავხდით, ჩამოწერილი მანქანები დაგვირიგეს. არა, დაფასება როგორ არ გვქონდა, მაგრამ როდესაც ერთი მუჭა ქვეყნის გუნდი 14 რესპუბლიკას აჯობებს, მეტი ყურადღებაა საჭირო.

# მართალი ვასო

## რომელმაც თავი საკუთარი ინიციატივით დაიჯარიმა

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში კრივოი როგის „კრივბასმა“ ვასილ გიგიაძის ჯადო გოლით 1:0 მოუგო კიევის „არსენალს“. ჩვენებური ამ გოლით ბომბარდირებში დაწინაურდა — ერთი ბურთით უსწრებს „ხარკოვის“ ალექსანდრ გლადკის. გიგიაძის არსენალურ გოლზე უკრაინაში დისკუსია გაჩაღდა და ყოველივე ამით რუსული „სპორტ-ექსპრესიც“ დაინტერესდა, რომელმაც ინტერვიუ ჩამოართვა „არსენალის“ მეკარე ვადიმ დეონასს. კითხვაზე, გიგიაძეს ასეთი ფანტასტიკური გოლი შემთხვევით გამოუვიდა თუ არა, დეონასი პასუხობს, ამის შესახებ მხოლოდ გიგიაძემ თუ უწყისო. ვასოს გუშინ დავუკავშირდით უკრაინაში და პირველ რიგში ამ გოლზე დავეკითხეთ...



— რა მნიშვნელობა აქვს, ასე განგებ დავარტყი თუ არა, მთავარია, გავიტანე.

— გასაგებია, მაგრამ ამ გოლზე უკრაინაში ძალიან ბევრს კამათობენ...

— სიმართლეს გეტყვით — კარის გასწვრივ მსურდა ბურთის გაგზავნა, იქნებ რომელიმე თანაგუნდელმა შეაგდოს-მეთქი.

— შენს კარიერაში საუკეთესოდ ამ გოლს მიიჩნევ?

— არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია, ისე, მართლაც ლამაზი გამოვიდა, უკრაინაში ტურის საუკეთესო გოლად აღიარეს. აუტიდან ბურთს ვიღებ და შორეულ ძელთან ვაწვდი — ეს ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციაა, რომელსაც „არსენალთან“ გოლი მოჰყვა.

— „კრივბასში“ ბოლო დროს რა პოზიციაზე თამაშობ?

— ისევ ცენტრფორვარდად. თავდასხმაში ორი ვასილი ვართ — მე და საჩკო. ჩემი პოზიცია ხელს არ უშლის ასეთ კომბინაციაში მონაწილეობას — აუტის შემდეგ ბურთის მეტოქის საჯარიმოში ჩაგდებას.

— დათვლილი თუ გაქვს, ამ სეზონის თერთმეტი გოლიდან სტანდარტულიდან რამდენი გაიტანე?

— ჩემი უპირველესი მოვალეობა გოლის გატანაა და ვცდილობ, ყველა საშუალება გამოვიყენო. თერთმეტიდან შვიდი სტანდარტულიდან გავიტანე — ოთხი პენალტით, სამი ჯარიმით.

— საქართველოს ჩემპიონატში ჯარიმებს არცთუ ხშირად ურტყამდი — ახლა ამაზე საგანგებოდ მუშაობ?

— საქართველოს ჩემპიონატში ჯარიმით მხოლოდ ორი გოლი გამიტანია. მოკლედ, ჯარიმებზე მუშაობა ახლა დავიწყე, მანამდე არც „კრივბასში“ ვასრულებდი ჯარიმებს. ეს მწვრთნელის დავალება არ ყოფილა, ჩემი ინიციატივა იყო.

— საშუასეზონო პერიოდში „კრივბასში“ მწვრთნელი შეგეცვალათ — ალექსანდრ კოსევიჩის ნაცვლად ოლეგ ტარანი დანიშნეს. რა შეცვალა ტარანმა „კრივბასში“?

— კოსევიჩის წასვლის შემდეგ „კრივბასის“ შემადგენლობა დახლოებით 80 პროცენტით შეიცვალა. ახ[illegible]დნენ. „კრივბასის“ სათამაშო სტილი კი არ შეცვლილა. ტარანი ენდობა ფეხბურთელებს და ჩვენც დიდი მონდომებით ვთამაშობთ. მომდევნო ტურში, 15 აპრილს კოსევიჩის „ზარიასთან“ ვთამაშობთ ლუგანსკში — საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს.

— შარშან ლაპარაკი იყო ბუქარესტის „დინამოში“ თუ „რაპიდში“ შენ გადასვლაზე — ახლა რას აპირებ?

— „კრივბასთან“ კიდევ ორი წლით გავაგრძელე კონტრაქტი და არა მგონია, ამ პერიოდში სხვაგან გადავიდე.

— „დინამოს“ და „შახტარის“ შემდეგ რომელს მიიჩნევ უკრაინის საუკეთესო გუნდად?

— დანარჩენი გუნდები თითქმის ერთი დონის არიან. მესამე ადგილზე ახლა „მეტალისტია“, რომელსაც მხოლოდ 4 ქულით ჩამოვრჩებით. მოკლედ, „დინამოსა“ და „შახტარის“ გარდა უკრაინაში სხვა გუნდს ვერ გამოვარჩევ.

— ეროვნულ ნაკრებში ოთხჯერ გითამაშია, ბოლოს შარშან, იტალიასთან შეცვლაზე და მას შემდეგ ეროვნულ გუნდში აღარ მიუწვევიხართ. არსებობს აზრი, რომ უკრაინისა და რუსეთის საშუალო გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელები ტაქტიკურად სათანადოდ არ არიან მომზადებულნი და ამიტომ უჭირთ ნაკრებში თამაში...

— არა მგონია, ჩვენ ტაქტიკურად ან სხვა კომპონენტში ჩამოვრჩებოდეთ, მაგალითად, მეორე ბუნდესლიგას.

— თუმც ნაკრებში ფეხის მოკიდება გაგიჭირდა...

— მე თავდამსხმელი ვარ და არა ფლანგზე თუ ნახევარდაცვის ცენტრში მოთამაშე. ნაკრებში კი რამდენჯერაც მათამაშეს, თავდამსხმელად არ დამაყენეს...

**დავით თამართძილაძე**



# ხიზანეიშვილი მიუნხენში წავიდა

„ფრაიბურგის“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი ოთარ ხიზანეიშვილი დაახლოებით ერთი თვის წინ დაშავდა მეორე ბუნდესლიგის მატჩში „ბურგჰაუზენთან“. ოთარს მენისკის ოპერაცია გაუკეთეს, სარეაბილიტაციო კურსი კი დღეს უნდა დაუმთავრდეს — ექიმებმა ნება დართეს, რომ ხვალიდან გუნდთან ერთად ივარჯიშოს.

ხიზანეიშვილი მანამდე ინდივიდუალურად, „ფრაიბურგის“ ფიზიოთერაპევტის მეთვალყურეობით ვარჯიშობდა, რომელმაც გუშინ მას დასვენება გამოუწერა და ოთარიც ფრაიბურგიდან წავიდა — ჩვენებური მიუნხენში ჩავიდა „ბაიერნ“ — „მილანის“ საყურებლად.

**დავით თამართძილაძე**

ზაალ ელიავასა და დავით გამეზარდაშვილის „სკონტომ“ გუშინწინ ტალინის „ფლორა“ სტუმრად 1:0 დაამარცხა და ბალტიის ლიგის მომდევნო ეტაპზე გავიდა. ჩვენებურებმა 90 წუთი ითამაშეს და საკმაოდ კარგადაც. 22 წლის მარცხენა მცველ ელიავას სამჯერ უთამაშია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, ოფიციალური დებიუტი კი 24 მარტს ჰქონდა გლაზგოში შოტლანდიასთან...

# ელიავა ცივ ზღვასთან ცივად არ არის



— „ფლორას“ დამარცხებით ბალტიის ლიგის ჯგუფური ეტაპი გავიარეთ. ტალინელებს აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდათ და შემდეგ „ვეტრასთვისაც“ უნდა მოეგოთ, ჩვენ კი ფრეც ხელს გვაძლევდა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. მე და გამეზარდაშვილმა შეხვედრა სრულად ვითამაშეთ და მწვრთნელიც ჩვენით კმაყოფილი დარჩა.

— ლაპარაკია, ელიავა სეზონის ბოლოს დატოვებს „სკონტოს“...

— კონტრაქტით გუნდში კიდევ ერთი წელი უნდა ვიყო და ჯერჯერობით წასვლა არც მე მინდა.

— ლატვიის ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ ერთი ტური ჩატარდა. „სკონტო“ მუდამ ჩემპიონობისთვის იბრძვის. წლეულს კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

— „ვენტსპილსს“ და „მეტალურგსს“. ჩვენ კი ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ჩემპიონობა რომ დავიბრუნოთ.

— ეროვნულმა ნაკრებმა შოტლანდიასთან პირველ ტაიმში კარგად ითამაშა, შესვენების შემდეგ კი უპირატესობა მასპინძლებისა იყო. შენი აზრით, რატომ მოხდა ასე?

— კლაუს ტოპმიოლერმა მეორე ტაიმშიც შეტევა დაგვავალა, რაც, სამწუხაროდ, ვერ შევძელით. შოტლანდიელებს ძალიან სჭირდებოდათ სამი ქულა, თან შინ თამაშობდნენ, რამაც გარკვეული უპირატესობა მისცა მათ. ჩემი აზრით, ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა.

— ფარერებთან ტოპმიოლერმა აღარ გათამაშა...

— მას ჩემთვის არაფერი უთქვამს. უბრალოდ, ასე ჩათვალა საჭიროდ.

**ნუკრი ლოლაძე**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# იმპერიის ქსელში გაბმული ლამურა



მიკაელ ესიენის მკვლელი გოლი

AFP

**ვალენსია (ესპანეთი) 1:2 *ჩელსი (ინგლისი)* (1:1)**

1:0 მორიენტესი (32), 1:1 შევჩენკო (52), 1:2 ესიენი (90)
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, დელ ორნო, ხოაკინი, ალბელდა, რ. ალბიოლი (უგო ვიანა 72), დ. სილვა, ვილია, მორიენტესი (ანგულო 65)
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
ჩელსი: ჩეხი, ლ. დიარა (ჯ. კოული 46), რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ესიენი, მიკელი, ლამპარდი (მაკელელე 90), ბალაკი, დროგბა, შევჩენკო (ს. კალუ 90)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ესიენი (4), ბალაკი (21), დელ ორნო (45), ალბელდა (51), აიალა (60), მორეტი (62)
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
56 000 მაყურებელი

**მიკაელ ესიენმა** 90-ე წუთზე მოკლა „ვალენსია". „ლამურებმა" ანგარიშის შენარჩუნებაზე ბევრი იზრუნეს, მეორე ტაიმში დაცვა გაამაგრეს და დაისაჯნენ კიდეც — ნახევარფინალში ესპანური გაზეთების მიერ მრავალგზის ძაგებული „აბრამოვიჩის იმპერია" გავიდა, „მესტალია" კი ცრემლმა წალეკა.

კიკე სანჩეს ფლორესმა თამაშამდე სთხოვა თავის ფეხბურთელებს, ეშმაკმა არ გაცდუნოთ, „სტემფორდ ბრიჯზე" მიღწეული 1:1 დაივიწყეთ და არამც და არამც არ იბურთაოთ ანგარიშის შენარჩუნებაზეო. „ვალენსიამაც" შეასრულა მწვრთნელის მოთხოვნა, ოღონდ ოდენ ერთი ტაიმით... მთელი ამ ერთი, ანუ პირველი ტაიმის განმავლობაში მასპინძლებმა „იმპერიას" აჯობეს, თუმცა პეტრ ჩეხის კარში ერთზე მეტი გოლი არ გასულა.

„ლამურათაგან" ყველაზე უკეთ ფერნანდო მორიენტესმა ითამაშა. „ელ მორო" საჩემპიონთალიგო ბრძოლებში გამოწრთობილი ვეტერანია და „ჩელსის" მისადგომებსაც სხვებზე უფრო სახიფათოდ ის ემუქრებოდა.

28-ე წუთზე ფერნანდომ ვილიას პასის შემდეგ ბურთი ინგლისელთა კარის ძელს ხეთქა და ამით თითქოს გააფრთხილა ჟოზე მაურინიუს შეგირდები, რაც მოელოდათ მცირე ხნის შემდეგ.

„ელ მორომ" „იმპერიის" კარიბჭე ხოაკინის პასით შელეწა. „მესტალია" სიხარულის ყიჟინამ კინალამ გაგუდა, ექსბეტისელმა ხოაკინმა კი ვინძლო პირველად გაამართლა თავისი ვალენსიური ტრანსფერი — 24 მილიონად ნაყიდ კაცს ახალი გუნდის შემადგენლობაში აქამდე ღირებული ვერაფერი შეექმნა...

სანამ საბედისწეროდ მოეშვებოდნენ, „ლამურებს" კიდევ რამდენჯერმე ჰქონდათ დაწინაურების შესაძლებლობა. ვილიამ რიკარდუ კარვალიუს გვერდი აუარა, მორიენტესს გადააწოდა და საქმეში ეშლი კოული რომ არ ჩართულიყო, ტაბლოზე 2:0 იქნებოდა.

დიდიე დროგბა დაემუქრა პირველად სანტიაგო კანისარესის კარს — კოტდივუარელმა მძლავრად გაისროლა, მაგრამ „ლამურათა" თეთრთმიანმა მეკარემ ამ დარტყმის მოგერიება შეძლო.

საერთოდ, აფრიკელი ფორვარდი ინგლისელთაგან საუკეთესო გახლდათ და „ჩელსიც" ყველანაირად ცდილობდა მის პასებით მომარაგებას.

შესვენების შემდეგ მაურინიუმ ლასანა დიარას ნაცვლად ჯო კოული შეიყვანა, რის გამოც ესიენმა მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა. ამან შედეგი მოიტანა, თამაში სულ ახალი განახლებული იყო, როცა ყოვლისშემძლე განელმა დროგბას ჩააწოდა, იმან ბურთი აიალასა და მიგელს შორის გახლართა და ბოლოს საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოცენებულმა ანდრეი შევჩენკომ შეაგდო — 1:1.

უკრაინულმა დარტყმამ ძალიან გატეხა „ვალენსია". „ლამურები" შეტევაზე ველარ გადადიოდნენ — ემანდ მეტოქემ კიდევ არ გაგვიტანოსო.

84-ე წუთზე მცველთაგან განწირულმა კანისარესმა მიხაელ ბალაკს უძნელესი თავური აუღო... ალბიოლიც დაიმტვრა, კიკე ფლორესმაც მორიენტესი ანგულოთი შეცვალა და მოკლედ, „ლამურებისთვის" უიღბლობას უიღბლობა მოჰყვა...

ესიენმა მატჩის წამზე დაამწუხრა „მესტალია" — განელმა კანისარესს ახლო კუთხეში გაუტანა და დააკანონა, რომ ლიგის ფინალში ერთი ინგლისური გუნდი აუცილებლად ითამაშებს.

„ჩვენ დიდ გუნდთან დიდი მეორე ტაიმი ჩავატარეთ. „ვალენსია" ძლიერი მეტოქეა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ნახევარფინალში გავიდოდით" — აღნიშნა ჟოზე მაურინიუმ მატჩის შემდეგ.

„სამწუხაროდ, ამ მატჩმა აჩვენა, რომ „ვალენსია" ევროპის საუკეთესოთა ოთხეულში არ არის. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სუსტი გუნდი გვყავს" — თქვა კიკე ფლორესმა.

**ლადო ხომერიკი**

**მანჩესტერი (ინგლისი) 7:1 რომა (იტალია) (1:2)**

1:0 კარიკი (11), 2:0 სმიტი (17), 3:0 რუნი (19), 4:0, 5:0 რონალდუ (44, 49), 6:0 კარიკი (60), 6:1 დე როსი (69), 7:1 ევრა (81)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ოში (ევრა 52), ფერდინანდი, ბრაუნი, ჰაინცე, რონალდუ, კარიკი (რიჩარდსონი 73), ფლეტჩერი, გიგზი (სოლსკიაერი 61), სმიტი, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
რომა: დონი, კასეტი, მექსეში, კივუ, პანუჩი, დე როსი (ფაცი 86), დ. პიზარო, ვილჰელმსონი (როზი 88), ვუჩინიჩი, მანსინი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: სმიტი (41), ფერდინანდი (42), კასეტი (76), მექსეში (88)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
76 212 მაყურებელი

# ფრანჩესკო ტოტი შავი სათვალით
## ნეტავ, სახლში დავრჩენილიყავი!

**„უშავესი** დღე კარიერაში" — ასე უწოდა ფრანჩესკო ტოტიმ „ოლდ ტრაფორდზე" წაგებულ მატჩს. არადა, „რომას" იტალიელი ფეხბურთელი ალექს ფერგიუსონს ემუქრებოდა, მე თქვენ გაჩვენებთ ნამდვილ ტოტისო.

„ეს ყველაზე შავი დღე იყო ჩემს კარიერაში — თქვა რომაელთა კაპიტანმა — ჩემპიონთა ლიგის მატჩში შვიდი გოლი აქამდე არასოდეს გამიშვია. სამწუხაროდ, მანჩესტერელთა ყველა დარტყმა კარში შევიდა და მალე გატანილმა სამმა გოლმა ბოლო მოგვიღო. ჩვენ პასუხის გაცემა ვცადეთ, თუმცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ვიცოდი, რომ კრიშტიანუ რონალდუ დიდებული ფეხბურთელია და მან თავისი კლასი კიდევ ერთხელ გვაჩვენა. ვიმედოვნებ, მომავალშიც გვექნება შანსი, ასეთ მატჩში და ეგებ ფინალშიც ვითამაშოთ, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდება."

„რომამ" საკლუბო რეკორდი „დაამყარა" — ოთხზე მეტი ევროთასებზე არასოდეს გაეშვა. 2004 წლის 29 სექტემბერს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ მატჩში „გლადიატორები" 2:4 დამარცხდნენ „რეალთან", მაგრამ სერია A-ში 1:7 ორჯერ წაუგიათ — 1947-ში „ტორინოსთან", ხოლო 1932-ში „იუვენტუსთან". გარდა ამისა არც ერთი იტალიური გუნდი არ დამარცხებულა ასეთი სხვაობით ჩემპიონთა ლიგაში. „იუვენტუსმა" კი 2007 წლის 10 დეკემბერს „ოლიმპიაკოსი" 7:0 დაჩოქა ჯგუფში.

„ის ფაქტი, რომ ნახევარფინალში სამი ინგლისური გუნდი გადის, ევროპაში პრემიერლიგის საუკეთესოობაზე მეტყველებს — განაცხადა ფერგიუსონმა — ექვსი-შვიდი წლის წინ პრიმერადივიზიონი დომინირებდა, მაგრამ წლეულს „ბარსელონა" და „რეალი" ჩვენგან შორს არიან. ინგლისური საკლუბო ფეხბურთი აშკარად წინ მიდის."

„მანჩესტერ იუნაიტედს" ასეთი ანგარიშით 1968 წლის შემდეგ არ მოეგო. მაშინ „წითლებმა" ირლანდიური „უოტერფორდი" დაამარცხეს.

„ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს თამაში 7:1 დამთავრდებოდა? — თქვა ფერგიუსონმა — მაგრამ ჩვენი სისწრაფე და ხარისხი უმაღლესი იყო. განსაკუთრებული საღამო გამოვიდა და შვიდივე გოლი საუცხოო იყო. ძალიან კარგი გუნდის წინააღმდეგ შესანიშნავად ვითამაშეთ."

და რა უნდა თქვას 1:7 წამგები გუნდის მწვრთნელმა?

ლუჩანო სპალეტიმ განაცხადა: „რაიმეს შეცვლა რომ შემეძლოს, სახლში დავრჩებოდი და მანჩესტერში არ ჩავიდოდი. გულწრფელად გეტყვით, ვერაფრით ამიხსნია ასეთი მარცხი. პირველ გოლამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ჩვენმა გამოუცდელობამ იჩინა თავი. იმის ნაცვლად, რომ დაცვაში ჩავმდგარიყავით, შეტევა მოვინდომეთ. ნახევარდაცვაში ძალიან გვაკლდნენ ტადეი, პეროტა და ტონეტო. ეს ფეხბურთელები რომ გვყოლოდა, შუა ხაზში უფრო მედგრად დავუხვდებოდით მანჩესტერელებს".

**ვაჟა ხუციშვილი**



ფრანჩესკო ტოტის ცენტრიდან ბურთი ამდენჯერ არასოდეს გაუთამაშებია

AFP

## უეფას თასი 2006-07. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# საგარეო მოტივაცია გორკასთვის

**დღეს**

**ბენფიკა (პორტუგალია) — ესპანიოლი (ესპანეთი) (2:3)**
**ოსასუნა (ესპანეთი) — ლევერკუზენი (გერმანია) (3:0)**
**ტოტენჰემი (ინგლისი) — სევილია (ესპანეთი) (1:2)**
**ვერდერი (გერმანია) — ალკმაარი (ჰოლანდია) (0:0)**

**უეფას** თასის მფლობელ „სევილიასთვის“ სასიხარულო ამბავი ისაა, რომ სასჯელმოხდილი ბრაზილიელი ფორვარდი ლუის ფაბიანო დაუბრუნდება. სამწუხარო კი — მეკარე ანდრეს პალოპის და ურუგვაელი თავდამსხმელის ერნესტო ჩევანტონის ტრავმა.

სევილიელთა მწვრთნელ ხუანდე რამოსს განსაკუთრებით უპალოპობა ადარდებს, რადგან მერვედფინალში „შახტართან“ დონეცკში კარშიც მაგრად იდგა და, როცა გუნდს გაუჭირდა, გოლიც გაიტანა.

„სევილიას“ ლონდონშიც გაუჭირდება — „ტოტენჰემს“ ხომ ძალიან კარგი შემტევები ჰყავს.

სევილიელმა კრისტიან პოულსენმა განაცხადა: „0:0-ისთვის თამაში ჩვენი სტილი არ არის. გოლის გატანა აუცილებლად გვჭირდება და შევუტევთ, რადგან დაცვაში ჩადგომა ხეირს არ დაგვაყრის.“

მარტინ იოლმა წინა შაბათს „ჩელსისთან“ 0:1 წაგებულ შეხვედრაში მთავარი ფეხბურთელები დაასვენა. რობი კინი, დიმიტარ ბერბატოვი, აარონ ლენონი და დიდიე ზოკორა სადღესოდ შემოინახა.

„ესაა სეზონში ჩვენთვის უმთავრესი მატჩი — თქვა მაიკლ დაუსონმა — ყველამ ვიცით, რას ნიშნავს ნახევარფინალში გასვლა, საიდანაც ფინალამდე ერთი ნაბიჯიღაა.“

„ტოტენჰემი“ კი ევროთასების ფინალში 1984 წლის შემდეგ არ გასულა. მაშინ მათ უეფას თასი მოიგეს.

„ესპანიოლს“ შეიძლება ძვირად დაუჯდეს „ბენფიკასთან“ შინ გაშვებული გოლები, მაგრამ კატალონიელებს 12 აპრილის ეიმედებათ. შარშან 12-ში მათ ესპანეთის თასის ფინალში „სარაგოსას“ 4:1 მოუგეს.

„ჩვენთვის ეს თარიღი დამატებითი მოტივაციაა“ — განაცხადა „ესპანიოლის“ მეკარე გორკა ირაისოსმა.

სტუმრებს ლისაბონში დააკლდებათ კაპიტანი და მევოლე რაულ ტამუდო, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში იქნება ვალტერ პანდიანი, რომელმაც უეფას თასზე 10 გოლი გაიტანა.

„ტამუდოთი თუ მის გარეშე, ჩვენ ამბიციურები ვართ და მჯერა, რომ სასურველ შედეგს მივაღწევთ“ — აღნიშნა ლუის გარსიამ.

მეოთხედფინალში პირველად გასული „ოსასუნა“ კი ის გუნდია, რომელსაც ამ ტურნირში შინ თამაში არ წაუგია. ლევერკუზენში მოგებული 3:0-ის შემდეგ ნავარელები ცალი ფეხით ნახევარფინალში არიან, მაგრამ მცველი ხოსეჩო ამბობს: „ფრეზე არ ვითამაშებთ, რადგან შინ საკუთარი ფანების თვალწინ მოგებით გვინდა ნახევარფინალში გასვლა.“

„ლევერკუზენი“ აჭრილივითაა — „ოსასუნასთან“ საშინაო მარცხს ბუნდესლიგაში „ბოხუმთან“ 1:4 წაგებაც მიაყოლა.

„ალკმაარი“ და „ვერდერი“ ერთი კვირის წინ უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს და ეგებ დღეს მაინც გავიდეს გოლები ამ გუნდების შეხვედრაში. შეტევაში განსაკუთრებით უჭირს „ვერდერს“ — მიროსლავ კლოზეს იანვრის აქეთ აღარ გაუტანია და „ნიურნბერგთანაც“ შეცვლაზე შესული როზენბერგის წყალობით მოიგეს. „ალკმაარს“ კი ტრავმამოშუშებული სტინ შაარსი დაუბრუნდება.

„სეზონის ბოლოს შაარსი ერთიორად გააძლიერებს გუნდს. ეს ძალიან სასიხარულო ამბავია“ — თქვა ლუის ვან გაალმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სტოიჩკოვის გადადგომა და დანიშვნა ერთი იყო



**ხრისტო სტოიჩკოვი** ვიგოს „სელტას“ ახალი მწვრთნელია. „ბარსელონას“ ძველი ლეგენდა ესპანურ პრიმერადივიზიონს უბრუნდება, რათა ვიგოური კლუბი ლიგაში დატოვოს. ბულგარელმა „ბალაიდოსის“ პატრონთა შეთავაზებაზე თანხმობა განაცხადა და ამის გამო მშობლიური ნაკრების თავკაცობაზე უარი თქვა.

„სელტაში“ სტოიჩკოვი ცუდი შედეგების გამო მოხსნილი ფერნანდო ვასკესის მემკვიდრე გახლავთ.

ესპანეთში ჩასული ხრისტო „მუნდო დეპორტივოს“ ესაუბრა და განაცხადა, ვამაყობ, ვიგოელებმა არჩევანი ჩემზე რომ შეაჩერესო.

„მიხარია, რომ „სელტამ“ სწორედ მე ამირჩია. ვფიქრობ, პრიმერაში ადგილი უნდა შევინარჩუნოთ“ — აღნიშნა სლავმა ლეგენდამ.

ფეხბურთელობისას სტოიჩკოვმა პრიმერას ყველა ჯილდოს გაუგო გემო, ახლა კი პირინეებზე მწვრთნელად ჩადის და წარმატებაში ეჭვიც არ ეპარება — მან ხომ სეგუნდაში გასავარდნად გამზადებული „სელტასთვის“ ბულგარეთის ეროვნული გუნდის დამრიგებლობა დათმო — ხრისტოს სამშობლოში მაგრად აკრიტიკებდნენ, მასზე ზეწოლა პრესამ განსაკუთრებით ალბანეთთან უგოლო ფრის შემდეგ გააძლიერა.

ბულგარეთის ნაკრები, რომლის სათავეში სტოიჩკოვი ევრო 2004-ის შემდეგ მივიდა, ახლა 2008 წლის ევროპის შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზეა და რუმინეთს და ჰოლანდიას, შესაბამისად, ორი და ხუთი ქულით ჩამორჩება.

„ნაკრებს ვტოვებ, მაგრამ ამას ალბანეთთან ფრესთან არანაირი კავშირი არ აქვს“ — თქვა ხრისტომ.

სტოიჩკოვი „სელტაში“ სეზონის ბოლომდე დარჩება, თუმც წარმატების შემთხვევაში ვიგოელები მასთან ხელშეკრულებას გაახანგრძლივებენ.

ბულგარელის დებიუტი პრიმერას მომავალ ტურში შედგება — „სელტა“ მეზობელ და დაუძინებელ მტერ „დეპორტივოს“ ხვდება...

**ლადო ხომერიკი**

## ძვირფასი ძმები

**კატალონიური** „სპორტის“ ცნობით, „ბარსელონა“ მზადაა, 30 მილიონი ევრო გადაიხადოს გაბრიელ და დიეგო მილიტოების სანაცვლოდ, რომლებიც „სარაგოსაში“ თამაშობენ.

შაბათს „ბარსა“ სტუმრად სარაგოსაში დამარცხდა და ამან კიდევ ერთხელ დაარწმუნა წაგებულები, რომ არგენტინელების შეძენა ღირს.

ამჟამად „სარაგოსას“ 27 მილიონი ევრო ვალი აქვს და „ბარსას“ შეთავაზებას ალბათ დათანხმდება.

## ფრანგის ნაცვლად ფრანგი

**„ბარსელონამ“** და „ლიონმა“ ეგებ ერიკ აბიდალი და ლუდოვიკ ჟიული გაცვალონ — ფრანგ ფეხბურთელს კატალონიურ კლუბში ლეო მესის ჩრდილში ყოფნა არ მოსწონს და გუნდის გამოცვლა უნდა. იგი „მონაკოში“ გადასვლამდე სწორედ „ლიონში“ თამაშობდა, აბიდალს კი დიდი ხანია, უტრიალებს „ბარსა“, რადგან მარცხენაფლანგელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი მშობლიურ „ფეიენოორდში“ აპირებს გადასვლას.

საქმეს ის ართულებს, რომ აბიდალი 20 მილიონი ევრო ღირს, ჟიულის კონტრაქტის გაწყვეტა კი სამჯერ მეტი.

## ალმირონი შეთანხმებულია

**„იუვენტუსმა“** თითქმის მოაგვარა ემპოლელი სერხიო ალმირონის ტრანსფერი.

„ტუტოსპორტის“ ინფორმაციით, ტურინული კლუბი ფეხბურთელს პირად კონტრაქტზე შეუთანხმდა და მხოლოდ „ემპოლისთან“ დარჩა საქმე მოსაგვარებელი.

„იუვე“ 5 მილიონ 300 ათას ევროს იხდის, თან სამი ახალგაზრდა ფეხბურთელიდან (მატეო პარო, რეი ვოლპატო და კრისტიან მოლინარი) ერთ-ერთის იჯარით წაყვანას სთავაზობს.

და კიდევ — „იუვენტუსი“ „ვილიარეალში“ განათხოვრებული ალესიო ტაკინარდის დაბრუნებას ცდილობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კოულმენის მოხსნამ სანჩესი ორად გაყო

**ინგლისური** „ფულემის“ მწვრთნელი კრის კოულმენი მოხსნეს და მის ნაცვლად ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების თავკაცი ლოური სანჩესი სეზონის ბოლომდე დანიშნეს.

ფულემელები მე-15 ადგილზე არიან და გასავარდნი ზონისგან ოთხი ქულაღა აშორებთ.

„კოულმენმა ათი წელი შეალია გუნდს და სამწუხაროა, რომ მისი მოხსნის გარდა სხვა არჩევანი არ გვქონდა“ — ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

მწვრთნელთან ერთად გაათავისუფლეს მისი თანაშემწე სტივ კინიც.

უელსელი კრის კოულმენი 1997 წლიდან „ფულემში“ თამაშობდა, მაგრამ 2001-ში მომხდარი ავტოავარიის გამო კარიერა დაასრულა. 2003 წელს მან გუნდი ჟან ტიგანასგან ჩაიბარა.

სანჩესის ჩრდილოეთ ირლანდია კი ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზეა და იგი „ფულემის“ თავკაცობას სეზონის ბოლომდე დათანხმდა.

ასე რომ, ამიერიდან ორ ადგილზე მოუწევს მუშაობა.

**ვაჟა ხუციშვილი**



კრის კოულმენი



ლოური სანჩესი

## Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

**III ჯგუფი. V ტური**

**სერო პორტენიო (პარაგვაი) 1:0 დეპორტეს ტოლიმა (კოლუმბია)**

1:0 მორინიგო (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| სერო პორტენიო | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| დეპორტეს ტოლიმა | 5 | 2 | 1 | 2 | 2:2 | 7 |
| კუკუტა დეპორტივო | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |

**IV ჯგუფი. V ტური**

**ემელეკი (ეკვადორი) 1:2 ინტერნასიონალი (ბრაზილია)**

0:1 იარლეი (36), 1:1 მინა (45), 1:2 პატო (53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ველეს სარსფილდი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 8 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ინტერნასიონალი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ემელეკი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |

**V ჯგუფი. V ტური**

**რეალ პოტოსი (ბოლივია) 3:1 პარანა (ბრაზილია)**

1:0 მ. როდრიგესი (24), 1:1 გერსონი (28), 2:1 ბრანდაო (70), 3:1 კ. კასტრო (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლამენგო | 5 | 4 | 1 | 0 | 9:4 | 13 |
| რეალ პოტოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 |
| პარანა | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 6 |
| მარაკაიბო | 5 | 0 | 2 | 3 | 7:12 | 2 |

# ფხიზელი რობინიო მაფიოზი არ არის

*ბოლო სამ მატჩში გატანილმა სამმა გოლმა რობინიო მადრიდის „რეალისთვის“ კვლავ მნიშვნელოვან ფეხბურთელად აქცია. ბრაზილიელ შემტევს „ასი“ ესაუბრა...*



**— სამი გოლი სამ შეხვედრაში... მაისურაზე „რეალის“ გერბს რატომ ეამბორეთ?**

— სიტყვებით ვერ ვიტყვი, რამხელა სიხარულია გოლის გატანა. წინასწარ ასეთი რამ არ მომიფიქრებია — გერბზე კოცნის იდეა უცებ, იმპულსურად მომივიდა. მართალი გითხრათ, საერთოდ, არც ვფიქრობდი, რას ვაკეთებდი.

**— ალბათ ამით რაღაცის თქმა გინდოდათ...**

— შეიძლება... მინდა, „რეალის“ ისტორიაში მნიშვნელოვან ფეხბურთელად დავრჩე და არ ვიყო ერთ-ერთი იმათგანი, რომლებიც ხალხმა უკვე მიივიწყა. სულაც კარგი იქნება, სამეფო გუნდის მაისურით მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის წოდება მოვიპოვო.

**— „რეალის“ გასახდელში რა ხდება?**

— ყველაფერი კარგადაა. ბიჭები დღითიდღე უფრო იმედიანად არიან და სჯერათ, რომ ესპანეთის ჩემპიონობა შესაძლებელია.

**— და ფაბიო კაპელო?**

— სათითაოდ მოგვილოცა გამარჯვება და გვითხრა, რომ ასე უნდა გავაგრძელოთ.

**— ფეხბურთელები სერიოზულად როდის დარწმუნდით, რომ ჩემპიონატის მოგება შეგიძლიათ?**

— ამის ყოველთვის გვჯეროდა, მაგრამ ჩვენი იმედები განსაკუთრებით „ბარსელონასთან“ ფრემ გააძლიერა. ამბობენ, რომ „ბარსელონას“ ჩვენზე ადვილი მატჩები დარჩა... ვნახოთ, ამას „რეალი“ მოედანზე დაამტკიცებს — შედეგი ბოლოს გამოჩნდება.

**— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში რომელი უფრო სახიფათოა, „ბარსა“, „ვალენსია“ თუ „სევილია“?**

— ცხადია, „ბარსა“. ეს გუნდი ყოველთვის კარგად თამაშობს, თუმცა უკვე ვიცით, რომ კატალონიელთა დამარცხება შეუძლებელი არ არის.

**— „რეალი“ კი „ბარსასგან“ განსხვავდება — ცუდად თამაშობს და მაინც იგებს...**

— იმ სიტუაციაში, რომელშიც „რეალი“ იმყოფება, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოგებაა, თუმცა ლამაზ თამაშზე უარს არასოდეს ვიტყვით.

**— ფიზიკურად მომატებული გაქვთ — „ოსასუნასთან“ მატჩში არ გაჩერებულხართ და რამდენიმე პოზიციაზე ითამაშეთ...**

— მომწონს, როცა მცველებს ვეხმარები — ფორვარდს მარტო შეტევა არ ევალება.

**— რა შეიცვალა რობინიოში ასეთი?**

— ვარჯიშებს მეტ ყურადღებას ვაქცევ — თავი, მარჯვენა ფეხი, მარცხენა... იმიტომაცაა, გადამწყვეტ მომენტში სიზუსტემ რომ იმატა. გარდა ამისა, ვცდილობ, მეტოქის კართან, რაც შეიძლება, ახლოს ვიდგე. ყოველდღე ამას 15 წუთს ვუთმობ. ევროპაში გოლების გატანას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგანაც ხალხი მხოლოდ ამის გამო გაფასებს.

**— „რეალის“ შემადგენლობა ადრინდელზე მტკიცეა?**

— ყოველთვის მტკიცე შემადგენლობა გვყავდა. ვილაცები ამბობდნენ, ბრაზილიელებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ცალკე მაფია აქვთო, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება.

**— თქვენთვის ეს სეზონი წინა სეზონზე რთულია?**

— რთული უფრო წინა სეზონი იყო — ცუდად დავიწყე, მერე სიტუაცია გამოვასწორე, მაგრამ უტიტულოდ დავრჩით, რაც ძალიან მეწყინა. წლეულს უკეთაა საქმე. თუმცა კაპელოს ნდობის მოსაპოვებლად გვარიანი ჯაფა დამჭირდა.

**— გაზეთებმა დაწერეს, რობინიო ვარჯიშებზე მთვრალი მიდიოდაო. ბრაზმა გაგიარათ თუ მედიას კიდევ ემდურით?**

— შოკირებული ვიყავი, რადგანაც სიმთვრალის ამბავი მტკნარი სიცრუეა. თუ რომელიმე მატჩი ან ვარჯიში გამოვტოვე, ეს ტრავმის გამო მოხდა. ჯერ უნდა დაფიქრდნენ და სკანდალური დასკვნები მერე გააკეთონ.

**— კაპელოსთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ნორმალური, როგორც ნებისმიერ მწვრთნელთან. ვცდილობ, ის გავაკეთო, რასაც დამავალებს.

**— გუნდიდან წასვლაზე არასდროს გიფიქრიათ?**

— არასდროს, რადგანაც „რეალის“ დონის კლუბი არ არსებობს. „ბერნაბეუზე“ იმიტომ მოვედი, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე. მგონი, სწორი გზით მივდივარ.

**— რას აკეთებთ მაშინ, როცა არ თამაშობთ?**

— „ფლეისთეიშენს“ ან ბილიარდს ვთამაშობ, დროს ოჯახის წევრებთან ვატარებ. ქუჩაშიც გავდივარ... ხალხის არ მეშინია — ავტოგრაფებზე უარს არავის ვეუბნები და კრიტიკასაც მოთმინებით ვისმენ.

**— ემერსონმა ფორმა აღიდგინა?**

— მარტო ემერსონს შეუძლია ამ სიტუაციიდან გამოძრომა... საჭიროა, იბრძოლოს და იმაზე იფიქროს, რომ იგივე ინჩასები, რომლებიც ახლა უსტვენენ, სამომავლოდ ფანატებად დაუბრუნდებიან...

**— სტვენა არც თქვენ გაკლდათ...**

— ფაქტია. იცით, ეს მე დამატებით მოტივაციას მაძლევდა. როცა ბურთს ვკარგავ, ვცდილობ, მეორე ეპიზოდში ვიყოჩაღო და შეტევაში თავი გამოვიჩინო. ხალხი მე კი არა, რონალდოს და ზიდანს უსტვენდა და რობინიოს ვინ დაინდობს?

**— კრიშტიანუ რონალდუს ამჟამად საუკეთესო ფეხბურთელად თვლით?**

— დიახ. ის და კაკა საუკეთესონი არიან და ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ. ბრწყინვალე იქნება, თუ ეს ორი ფეხბურთელი „რეალმა“ იყიდა — მაშინ მეტოქეს შეუძლია, ორი გოლიც გაგვიტანოს, წაგებას მაინც ვერ ასცდება — ჩვენ ხომ, სულ მცირე, ოთხს შევუგდებთ...

# მესმის, მაგრამ...

## მაურინიუმ კრესპოს სამწუხარო რამ უთხრა



**როგორც** ჩანს, ერნან კრესპოს „ჩელსიში“ დაბრუნება მაინც მოუწევს.

მოგეხსენებათ, არგენტინელი ფორვარდი ლონდონელებს ეკუთვნის და „ინტერში“ სეზონის ბოლომდე იჯარითაა განათხოვრებული. მას მრავალჯერ უთქვამს, იტალიაში ცხოვრება მინდა და იმედია, ინგლისური კლუბი ამის ნებას მომცემსო, მაგრამ...

ცოტა ხნის წინ კრესპომ საჯაროდ მიმართა რომან აბრამოვიჩს — იტალიაში, ჩემს მეორე სამშობლოში დარჩენის ნება დამრთე და ამით გამაბედნიერეო. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, აბრამოვიჩი კრესპოს თხოვნას გაითვალისწინებს და იგი „ინტერთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებსო, თუმცა ლონდონელთა მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს სხვა გეგმები ჰქონია.

„მომავალი სეზონის პირველ ნაწილში ფორვარდების სიმცირე გვექნება, რადგან დიდიე დროგბა და სალომონ კალუ ეროვნული ნაკრების შეკრებაზე წავლენ. ამიტომ ერნანს აუცილებლად მოუწევს ლონდონში დაბრუნება, რადგან სეზონის ამ მნიშვნელოვან პერიოდს ორი თავდამსხმელით ვერ ჩავატარებთ. კრესპოსი მესმის და ვწუხვარ, მას მილანში დარჩენა და ცხოვრება უნდა, მაგრამ დაბრუნება მოუწევს“ — აღნიშნა პორტუგალიელმა სპეციალისტმა.

**გიორგი ჭაჭაბაძე**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...



## ანდრეი შევჩენკო

### თავდამსხმელი

დაიბადა 1976 წლის 29 სექტემბერს დვირკივშინაში

სიმაღლე: 1,81 მეტრი

წონა: 78 კგ

კარიერა: 1994-99 წლები — „დინამო“ კიევი (117 მატჩი, 60 გოლი), 1999-2006 წლები — „მილანი“ (208 მატჩი, 127 გოლი)

2006 წლიდან — „ჩელსი“ (29 მატჩი, 5 გოლი)

1995 წლიდან თამაშობს უკრაინის ნაკრებში (73 მატჩი, 33 გოლი)

მეტსახელები: შევა, შევაგოლი

## FERRARI F360

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,477 მეტრი

სიგანე: 1,922 მეტრი

სიმაღლე: 1,214 მეტრი

წონა: 1 290 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 3,6

მექანიკური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 295 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,5 წამში

ფასი: 260 000 დოლარი



# ვილია თავისმა ფასმა დააფრთხო




**ესპანური** „ვალენსიას“ ფორვარდ დავიდ ვილიას თქმით, თუ იგი რომელიმე ინგლისური კლუბისგან წინადადებას მიიღებს, მას სიამოვნებით განიხილავს.

„ღამურებისა“ და ესპანეთის ნაკრების მთავარმეგოლე პირველ რიგში „ლივერპულს“ გულისხმობს, რომლისადმი გარკვეული სიმპათიები ჰქონია.

ისიც გავიხსენოთ, რომ „ლივერპული“ უკვე საკმაო ხანია, ვილიას ეპატიჟება, თუმცა ნიჭიერ თავდამსხმელს სხვა მსურველებიც ჰყავს, მათ შორის „ჩელსი“.

„ინგლისში თამაში მიზნად არასდროს დამისახავს და ამაზე განსაკუთრებით არ მიფიქრია, თუმცა თუ საინტერესო წინადადებას მივიღებ, აუცილებლად განვიხილავ. საყვარელი ინგლისური კლუბი არ მყავს, მაგრამ „ლივერპულის“ რამდენიმე მოთამაშესთან ახლობლობის გამო მერსისაიდელებს ვქომაგობ. მათ რიგებში რჩეული ფეხბურთელიც მყავს — ჩემი მეგობარი პეპე რეინა“ — განაცხადა ვილიამ.

„ვალენსია“ 25 წლის ფორვარდის გაყიდვის სურვილით კვდებაო, რომ ვთქვათ, ტყუილი იქნება. პირიქით, თუ ვინმეს ახლა ვილიას კონტრაქტის გამოსყიდვა მოუნდება, არც მეტი, არც ნაკლები, 85 მილიონი გირვანქა უნდა გადაიხადოს. შეძლებით ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ „ღამურები“ ვილიას იაფად ნამდვილად არ დათმობენ. ფინანსური თვალსაზრისით კი, ახლა „ჩელსის“ უფრო რომ ულხინს, ვიდრე „ლივერპულს“, არც ესაა დასამალი. როგორც ირკვევა, ვილია ლონდონელთა მფლობელ რომან აბრამოვიჩზე კარგი აზრისაა.

„აბრამოვიჩს შეუძლია, ფული ისე დახარჯოს, როგორც გაუხარდება, პრობლემას ვერ ვხედავ. მან „ჩელსის“ ქომაგები გააბედნიერა და მათი საყვარელი გუნდი ამჟამად ყველაზე წარმატებულად აქცია ინგლისში. ვფიქრობ, იგი კარგი ადამიანია. რაც შეეხება ჩემს ფასს, ეს ძალიან დიდი ფულია, არანორმალურად დიდი. თუმცა ფეხბურთში ყველაფერი ხდება… ვნახოთ, რა მოხდება“ — დასძინა ვილიამ.

**გიორგი ძაძაძე**


ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზიდანის მადა, რა მადა

**ზინედინ ზიდანს** კარიერის განახლების კიდევ ერთი შანსი ჰქონდა ამერიკულ „ჩიკაგოში“, მაგრამ კლუბმა ფრანგის მადა ვერ დააკმაყოფილა — ზიზუმ წლიურად 15 მილიონი დოლარი მოითხოვა.

შედარებისთვის, ამავე გუნდის მექსიკელ კუატემოკ ბლანკოს ჯამაგირი 2 მილიონ 500 ათასია, ხოლო „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ გადასული დევიდ ბექჰემისა — 5 მილიონ 500 ათასი. მართალია, ბექჰემი ხუთწლიანი კონტრაქტით 250 მილიონს მიიღებს, მაგრამ აქედან ოცი პროცენტია ხელფასი, დანარჩენი კი სარეკლამო შემოსავალი იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბისტროვი ხუთწლიანში

**მოსკოვის** „სპარტაკმა“ ვლადიმირ ბისტროვს ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი და თვეში 85 ათასი ევრო შესთავაზა. ამჟამინდელი ხელშეკრულების მიხედვით, ნახევარმცველის ჯამაგირი 60 ათასია, მაგრამ კლუბი მისით კმაყოფილია და გრძელვადიან გარიგებას სთავაზობს, რადგან, როგორც გაირკვა, ბისტროვს თვალი დაადგა ინგლისურმა „მიდლსბრომ“.

ფეხბურთელის ფასი 10 მილიონი ევროა, მაგრამ „სპარტაკს“ მასთან განშორება არ უნდა.

## კაკუტა იაფად

**„დეილი მირორის“** ცნობით, „ლანსის“ 15 წლის ნახევარმცველი გაელ კაკუტა „ჩელსიმ“ იყიდა.

საფრანგეთის 17-წლამდელთა ნაკრების წევრს კლუბთან პროფესიული კონტრაქტი არ ჰქონდა და მისი გადაბირება ჩელსელებს 20 ათასი გირვანქა დაუჯდათ.

## ათი მილიონით მეტი

**ადრე** შეპირებული 40 მილიონი გირვანქის ნაცვლად, „ლივერპული“ ტრანსფერებისთვის 50 მილიონს მიიღებს — წერს „დეილი მეილი“. ამ თანხის ნაწილი ხაბი ალონსოსთვის ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დაიხარჯება.

გარდა ამისა, „ლივერპული“ დაინტერესებულია „ბლექბერნის“ ფორვარდ ბენი მაკკარტითაც, რომელიც ძალიან კარგად ჩაეწერა მარკ ჰიუზის გუნდში.

## ჰილს პრემიერლიგა დასდევს

**„ლიდსისა“** და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების თავდამსხმელი დევიდ ჰილი პრემიერლიგური კლუბების ინტერესის სფეროში მოხვდა. ევრო 2008-ის შესარჩევში 9 გოლი გაიტანა, მისი „ლიდსი“ კი ჩემპიონლიგიდან გავარდნის პირასაა. 27 წლის ჰილის ყიდვა „ევერტონს“, „ასტონ ვილასა“ და „მანჩესტერ სიტის“ უნდათ.

ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელის ფასი 3 მილიონი გირვანქაა.

## გუდიონსენმა მანჩესტერი არ იცის

**ეიდურ გუდიონსენმა** უარყო ცნობა „მანჩესტერ იუნაიტედში“ შესაძლო გადასვლის თაობაზე. ისლანდიელს „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს და ამიტომაც დასტრიალებენ თავს სხვა კლუბები.

— „მანჩესტერისგან“ არაფერი მსმენია — თქვა გუდიონსენმა, ხოლო „ბარსას“ სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა განაცხადა: „ეიდურს საუკეთესო პერიოდი არ უდგას, მაგრამ ცდილობს, გუნდში ადგილი დაიმკვიდროს. ამიტომ ჩვენ მის შენარჩუნებას ვაპირებთ“.

## ანრი გაბრაზდა

**ტიერი ანრიმ** განაცხადა, რომ დაიღალა საკუთარ მომავალზე საუბრით. ამბობენ, ფრანგს არსენ ვენგერთან ურთიერთობა წაუხდა და წასვლას აპირებსო, მაგრამ „მეთოფემ“ განაცხადა:

„აღარ ვიცი, რა გავაკეთო, რათა ჩემი სურვილი ყველას გავაგებინო. ეგებ მაისურაზე დავიწერო, რომ „არსენალში“ ვრჩები? ამის გამეორება უკვე მომწყინდა!“

## ლილის ბიჭები

**„კონტროკამპოს“** ვერსიით, „მილანი“ მეტიუ ბოღმერის და კადერ კეიტას შეძენას ეცდება — „ლილის“ ფეხბურთელებმა ჩემპიონთა ლიგაში კარგი თამაშით მიიპყრეს „შავ-წითელთა“ ყურადღება.

გარდა ამისა, მილანელები მეკარესაც ეძებენ და „ესპანიოლის“ გოლკიპერ იდრის კამენის აკვირდებიან, რომლის ფასიც 9 მილიონი ევროა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მორჩა: მარადონა გაწერეს



**დიეგო მარადონამ** ბუენოს აირესის ჰოსპიტალი დატოვა. ალბათ მოგეხსენებათ, რომ ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი გემესის სანატორიუმში 29 მარტს მოათავსეს. იგი ოჯახური პრობლემების გამო დეპრესიაშია და ალკოჰოლურ სასმელებს, სიგარეტსა და საჭმელს ჭარბად ეტანება.

ახლა მარადონას მდგომარეობა სტაბილურია, მაგრამ მას სერიოზული მეთვალყურეობა და ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი სჭირდება.

„დიეგომ უკვე კარგად გაითავისა თავისი მდგომარეობის სერიოზულობა და სირთულე. როგორც იქნა, ყურს გვიგდებს. ადრე სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაგრამ ახლა უკვე კითხვებს გვისვამს, გვპასუხობს და უხარია, რომ გამოჯანმრთელება შეუძლია“ — აღნიშნა გემესის სანატორიუმის დირექტორმა ექტორ პეცელამ.

**ძოძი ძანდელაძე**

# ქალი გერმანულ ფეხბურთში
## ეშმაკი იზაბელას ბუნდესლაბირინთები

**32 წლის იზაბელა მიულერ-რაინჰარდტი გერმანული გადაცემა „ბუნდესლიგა-არენას“ წამყვანია და მთელ გერმანულ სპორტულ სამყაროში ჩამჭრელი და ეშმაკური კითხვებით გამოირჩევა. საინტერესოა, როგორია, იყო ქალი და მუშაობდე გერმანულ ფეხბურთში? პოპულარული „ბილდი“ სწორედ ამის გარკვევას შეეცადა და ფრაუ იზაბელას გაესაუბრა…**

— მე უფრო პირდაპირი და ცოტათი ეშმაკი ვარ, ვიდრე ჩემი კოლეგა მამაკაცები. ფეხბურთელები და მწვრთნელები ამას ითვალისწინებენ და პატივს მცემენ. ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ რესპონდენტთან მისვლამდე ყოველთვის კარგად ვემზადები ხოლმე.

— ეს პატივისცემა ალბათ დიდი ბრძოლის შედეგიცაა…

— ერთხელ, ინტერვიუს წინ „დორტმუნდის“ აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა ბერტ ვან მარვიიკმა მკითხა, როგორ ვიცნობ მის ფეხბურთელთა მომზადების დონეს. ეს, ცოტა არ იყოს, ირონიულად გამოუვიდა, თუმცა არც მე დავიხიე უკან და ვუთხარი, რომ ინტერვიუს შემდეგ კრებაზე უნდა მისულიყო, მან კი ეს ამბავი ჯერ არც იცოდა…

— ქალისთვის გერმანულ ფეხბურთში მუშაობა ძნელი არ არის?

— ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩემს რესპონდენტებს როგორღაც ბედნიერებას ვანიჭებ. ირგვლივ ხომ ყველა იღრინება…

— ბუნდესლიგის წამყვანმა კი საუკეთესო საჩუქარი მეორე ბუნდესლიგიდან მიიღეთ…

— მართალია. საფეხბურთო ფორმების შეგროვებით ვარ გატაცებული — თამაშების შემდეგ ფეხბურთელებს მაისურებს ვართმევ ხოლმე. როგორც ჩანს, „უნტერჰახინგის“ კაპიტანმა ეს იცოდა და მატჩის შემდეგ თავისი მაისურა მომაჩეჩა ხელში, არადა, მისთვის ეს არ მითხოვია. მხოლოდ სახლში, როცა ფორმის გარეცხვას ვაპირებდი, აღმოვაჩინე, რომ მასზე წარწერა იყო: „ულამაზეს ქერა ქალბატონს „არენადან“. ეს ძალიან მოულოდნელი და თან სასიამოვნო იყო…



# წარმოგიდგენთ

## ინგლისი. პრემიერლიგა

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9 | არსენალი-ბოლტონი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 18:00 | 11 | სიტი-ლივერპული | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 18:00 | 13 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 18:00 | 14 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 18:00 | 15 | რედინგი-ფულემი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 18:00 | 16 | შეფილდი-ვესტ ჰემი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 17 | უიგანი-ტოტენჰემი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 18:00 | 18 | ევერტონი-ჩარლტონი | 1.70 | 3.50 | 4.80 | 1.14 | 1.25 | 2.02 |

## ინგლისი. ჩემპიონატი

**13 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 31 | ვესტ ბრომვიჩი-უენსდი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 32 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 33 | კრ. პალასი-ვულვზი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 34 | კარდიფი-სტოკი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 35 | ქოვენთრი-პრესტონი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 36 | ჰალი-კოლჩესტერი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 37 | იფსვიჩი-დერბი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 38 | ლიდსი-ბარნლი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 39 | ლესტერი-ნორვიჩი | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 18:00 | 40 | ლუტონი-პლიმუთი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 41 | საუთენდი-ბარნსლი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 18:00 | 42 | სანდერლენდი-ქპრ | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |

## ინგლისი. I ლიგა

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 55 | ბლეკპული-ნორთჰემპტონი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 18:00 | 56 | ბორნმუთი-სუონსი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 57 | ბრენტფორდი-ნოტინგემი | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |
| 18:00 | 58 | ბრაიტონი-ბრედფორდი | 2.00 | 3.30 | 3.25 | 1.24 | 1.23 | 1.63 |
| 18:00 | 59 | ბრისტოლი-იოვილი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:00 | 60 | ჩესტერფილდი-ჯილინგემი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 61 | ლეიტონი-დონკასტერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 62 | მილუოლი-ტრანმერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 63 | ოლდემი-ჩელტენემი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 | 64 | პორტ ვეილი-ქრიუ | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 65 | როტერჰემი-კარლაილი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 18:00 | 66 | სკანთორპი-ჰადერსფილდი | 1.43 | 3.70 | 7.00 | 1.03 | 1.18 | 2.42 |

## ინგლისი. II ლიგა

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 79 | აკრინგტონი-გრიმსბი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 80 | ბარნეტი-როვერსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 81 | ბერი-სუინდონი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 18:00 | 82 | ჰერეფორდი-ბოსტონი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 18:00 | 83 | ლინკოლნი-რექსემი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 18:00 | 84 | მაკლსფილდი-სტოკპორტი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 18:00 | 85 | მენსფილდი-როჩდეილი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 86 | დონსი-დარლინგტონი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 87 | ნოტსი-უოლსოლი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 18:00 | 88 | ტორკი-პიტერბრო | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 18:00 | 89 | უიკომბი-ჰარტლპული | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 90 | ჩესტერი-შრიუსბერი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |

## ინგლისი. კონფერენსი

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 104 | ბარტონი-გრეისი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 18:00 | 105 | დაგ ენდ რედი-ალტრინჩემი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 18:00 | 106 | ექსეტერი-კემბრიჯი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 107 | გრეივსენდი-საუთპორტი | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| 18:00 | 108 | ჰალიფაქსი-ალდერშოტი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 109 | ნორთვიჩი-ქროული | 2.20 | 3.10 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 18:00 | 110 | რაშდენი -კიდერმინსტერი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 111 | სტ.ალბანსი-ოქსფორდი | 4.90 | 3.50 | 1.60 | 2.04 | 1.20 | 1.09 |
| 18:00 | 112 | სტ.რეინჯერსი-იორკი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 18:00 | 113 | სტივენეიჯი-ტემუორთი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 18:00 | 114 | ვეიმუთი-მორიკომბი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 18:00 | 115 | უოკინგი-ფორესტ გრინი | 2.05 | 3.40 | 3.00 | 1.27 | 1.21 | 1.59 |

## შოტლანდია. I დივიზიონი

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 117 | ჰამილტონი-გრეტნა | 3.80 | 3.50 | 1.80 | 1.82 | 1.22 | 1.18 |
| 18:00 | 118 | პარტიკი-დანდი | 2.45 | 3.40 | 2.40 | 1.42 | 1.21 | 1.40 |
| 18:00 | 119 | ქუინი-ლივინგსტონი | 2.15 | 3.40 | 2.75 | 1.31 | 1.20 | 1.52 |
| 18:00 | 120 | როსი-ერდრი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |

## შოტლანდია. II დივიზიონი

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 121 | ალოა-კოუდენბითი | 2.20 | 3.40 | 2.70 | 1.33 | 1.21 | 1.50 |
| 18:00 | 122 | ეარი-სტირლინგი | 2.75 | 3.40 | 2.15 | 1.52 | 1.20 | 1.31 |
| 18:00 | 123 | ბრეჩინი-პიტერჰედი | 1.90 | 3.40 | 3.40 | 1.21 | 1.21 | 1.70 |
| 18:00 | 124 | რეითი-მორტონი | 3.90 | 3.60 | 1.70 | 1.87 | 1.18 | 1.15 |
| 18:00 | 125 | სტრანრარი-ფორფარი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |

## შოტლანდია. III დივიზიონი

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 126 | ალბიონი-ბერიკი | 5.00 | 3.70 | 1.55 | 2.12 | 1.18 | 1.09 |
| 18:00 | 127 | არბროთი-ქუინზ პარკი | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 18:00 | 128 | დამბარტონი-მონტროუზი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 18:00 | 129 | ელგინი-ისტ სტირლინგი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |
| 18:00 | 130 | სტენჰაუზმური-ისტ ფაიფი | 2.80 | 3.40 | 2.15 | 1.53 | 1.21 | 1.31 |

## გერმანია. I ბუნდესლიგა

**13 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 131 | გლადბახი-ჰამბურგი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 132 | ნიურნბერგი-ალემანია | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| 17:30 | 133 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| 17:30 | 134 | არმინია-აინტრახტი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 17:30 | 135 | ბოხუმი-ჰერტა | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 17:30 | 136 | კოტბუსი -ვოლფსბურგი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 17:30 | 137 | მაინცი-შალკე | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 139 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.52 | 3.80 | 6.00 | 1.08 | 1.21 | 2.32 |
| 19:00 | 140 | დორტმუნდი-ვერდერი | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |

## გერმანია. II ბუნდესლიგა

**13 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 143 | აუგსბურგი-დუისბურგი | 2.60 | 3.10 | 2.55 | 1.41 | 1.28 | 1.39 |
| 20:00 | 144 | ბრაუნშვაიგი-ჰანზა | 5.10 | 3.40 | 1.65 | 2.03 | 1.24 | 1.11 |
| 20:00 | 145 | პადერბორნი-მიუნხენი 1860 | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 146 | ესენი-უნტერჰახინგი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 16:00 | 147 | კაიზერსლაუტერნი-ფიურტი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 16:00 | 148 | კარლსრუე-კობლენცი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 16:00 | 149 | კიოლნი-ფრაიბურგი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 16:00 | 150 | ოფენბახი-ბურგჰაუზენი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |

**16 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 151 | კარლ ცაისი-აუე | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |

## ავსტრია. ბუნდესლიგა

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 171 | მატერსბურგი-აუსტრია | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 20:30 | 172 | რაპიდი-ტიროლი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 174 | რიდი-პაშინგი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |

## შვეიცარია. სუპერლიგა

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:45 | 183 | ბაზელი-სტ.გალენი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 19:45 | 184 | ლუცერნი-თუნი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:45 | 185 | იანგ ბოიზი-აარაუ | 1.35 | 4.40 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.70 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 186 | გრასჰოპერი-შაფჰაუზენი | 1.43 | 4.10 | 6.50 | 1.06 | 1.17 | 2.51 |
| 18:00 | 187 | სიონი-ციურიხი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |

## იტალია. სერია A

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 200 | კალიარი-ემპოლი | 2.40 | 2.60 | 3.30 | 1.24 | 1.38 | 1.45 |
| 22:30 | 210 | უდინეზე-კიევო | 1.95 | 2.80 | 4.35 | 1.14 | 1.34 | 1.70 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 198 | ასკოლი-ლაციო | 9.00 | 3.80 | 1.37 | 2.67 | 1.18 | 1.00 |
| 17:00 | 201 | ფიორენტინა-სიენა | 1.30 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.05 |
| 22:30 | 202 | ინტერი-პალერმო | 1.45 | 3.70 | 8.00 | 1.04 | 1.22 | 2.52 |
| 17:00 | 204 | ლივორნო-რეჯინა | 2.40 | 2.60 | 3.50 | 1.24 | 1.42 | 1.49 |
| 17:00 | 205 | მესინა-მილანი | 6.50 | 3.40 | 1.55 | 2.23 | 1.25 | 1.06 |
| 17:00 | 206 | პარმა-კატანია | 1.80 | 3.00 | 4.80 | 1.12 | 1.30 | 1.84 |
| 17:00 | 207 | რომა-სამპდორია | 1.52 | 3.40 | 7.00 | 1.05 | 1.24 | 2.28 |
| 17:00 | 209 | ტორინო-ატალანტა | 2.30 | 2.60 | 3.65 | 1.22 | 1.41 | 1.51 |

## ესპანეთი. I დივიზიონი

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 248 | ბეტისი-სოსიედადი | 1.95 | 3.10 | 3.80 | 1.19 | 1.28 | 1.70 |
| 22:00 | 253 | რასინგი-რეალი | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 244 | ბილბაო-ესპანიოლი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 20:00 | 245 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 21:00 | 246 | ბარსელონა-მალიორკა | 1.23 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.11 | 3.62 |
| 20:00 | 249 | სელტა-დეპორტივო | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 20:00 | 250 | ხეტაფე-ვილიარეალი | 2.15 | 3.10 | 3.25 | 1.26 | 1.29 | 1.58 |
| 20:00 | 251 | ტარაგონა-სარაგოსა | 3.70 | 3.20 | 1.95 | 1.71 | 1.27 | 1.21 |
| 20:00 | 252 | ოსასუნა-უელვა | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 23:00 | 255 | ვალენსია-სევილია | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |

## ესპანეთი. II დივიზიონი

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 256 | ალბასეტე-ალავესი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 20:30 | 259 | ლას პალმასი-კადისი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 20:30 | 262 | ეხიდო-მურსია | 2.50 | 2.90 | 2.70 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| 20:30 | 266 | სერესი-ტენერიფე | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 257 | სიუდადი-ალმერია | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 20:00 | 258 | სპორტინგი-კასტელონი | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:00 | 260 | ლორკა-რეალი(ბ) | 2.50 | 2.90 | 2.70 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| 20:00 | 261 | ნუმანსია-ჰერკულესი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 19:30 | 263 | პონფერადინა-მალაგა | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 20:00 | 264 | სალამანკა-ელჩე | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 19:00 | 265 | ვალიადოლიდი-ვეცინდარიო | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:10 | 267 | ბორდო-პსჟ | 2.05 | 2.90 | 3.90 | 1.20 | 1.34 | 1.66 |
| 22:00 | 268 | ლე მანი-რენი | 2.20 | 2.90 | 3.45 | 1.25 | 1.34 | 1.57 |
| 22:00 | 269 | ლილი-სოშო | 2.05 | 2.90 | 3.90 | 1.20 | 1.34 | 1.66 |
| 22:00 | 270 | ლორიანი-მონაკო | 2.40 | 2.90 | 3.15 | 1.31 | 1.36 | 1.50 |
| 22:00 | 273 | ნანტი-ლანსი | 2.75 | 2.90 | 2.65 | 1.41 | 1.34 | 1.38 |
| 22:00 | 277 | ტულუზი-ოსერი | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 22:00 | 278 | ტრუა-ნანსი | 2.25 | 2.90 | 3.35 | 1.26 | 1.34 | 1.55 |
| 22:00 | 279 | ვალენსიენი-მარსელი | 2.75 | 2.90 | 2.60 | 1.41 | 1.33 | 1.37 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 271 | ლიონი-სედანი | 1.35 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.72 |
| 20:00 | 275 | ნიცა-სტ.ეტიენი | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |

## ბელგია. I დივიზიონი

**13 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 291 | სერკლი-ანდერლეხტი | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |

**14 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 293 | ლიერსი-სტ.ტრუიდენი | 2.25 | 3.40 | 2.70 | 1.35 | 1.22 | 1.50 |
| 22:00 | 294 | ლოკერენი-მუსკრონი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 22:00 | 295 | სტანდარდი-მონსი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 22:00 | 296 | ვარეგემი-ბეერსხოტი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 22:00 | 297 | ბრიუსელი-რუზელარე | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 22:00 | 298 | გენკი-ვესტერლო | 1.30 | 4.60 | 8.50 | 1.01 | 1.12 | 2.98 |

**15 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 300 | გენტი-ბევერენი | 1.30 | 4.60 | 8.70 | 1.01 | 1.13 | 3.00 |
| 22:30 | 301 | შარლერუა-ბრიუგე | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 22:00 | 311 | სპარტა-უტრეხტი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| 22:30 | 322 | აიაქსი-ბრედა | 1.25 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.36 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 21:30 | 312 | დენ ჰააგი-როდა | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 21:30 | 313 | პსვ-ტვენტე | 1.55 | 3.50 | 5.75 | 1.07 | 1.22 | 2.17 |
| 22:00 | 315 | ექსელსიორი-ვალვაიკი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 316 | გრონინგენი-ნაიმეგენი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 16:30 | 317 | ჰერაკლესი-ფეიენოორდი | 3.60 | 3.30 | 1.90 | 1.72 | 1.24 | 1.20 |
| 16:30 | 319 | ტილბურგი-ჰერენვენი | 2.65 | 3.30 | 2.40 | 1.46 | 1.25 | 1.38 |
| 16:30 | 320 | ალკმაარი-ვიტესი | 1.27 | 4.90 | 8.50 | 1.00 | 1.10 | 3.10 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 23:30 | 344 | სპორტინგი-მარიტიმუ | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 335 | აკადემიკა-პორტუ | 6.70 | 3.70 | 1.45 | 2.38 | 1.19 | 1.04 |
| 22:15 | 339 | ბელენენსეში-ამადორა | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 338 | ბოავიშტა-ლეირია | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 340 | ნასიონალი-ავეში | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 342 | ნავალი-ფერეირა | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 19:00 | 343 | სეტუბალი-ბეირა მარი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | 16 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 337 | ბენფიკა-ბრაგა | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |

**საბერძნეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 353 | აეკ-ეგალეო | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| 20:00 | 354 | არისი-ერგოტელისი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 20:00 | 355 | ატრომიტოსი-პანიონიოსი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 20:00 | 357 | კალამარია-პანათინაიკოსი | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| 20:00 | 358 | ოფი-იონიკოსი | 1.12 | 6.80 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.46 |
| 20:00 | 360 | ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 4.00 | 3.00 | 1.95 | 1.71 | 1.31 | 1.18 |
| 20:00 | 361 | კერკირა-ირაკლისი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 20:00 | 362 | პაოკ-ქსანთი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |

**თურქეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 365 | გენჩლერი-გალათასარაი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 366 | სავარია-ბეშიქთაში | 5.80 | 4.00 | 1.43 | 2.36 | 1.14 | 1.05 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 16:00 | 363 | რიზე-ტრაბზონი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 16:00 | 364 | ერჯიესი-ანკარაგიუჯიუ | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 16:00 | 367 | სივასპორი-გაზიანთეფი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 16:00 | 368 | ანკარა-კონია | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 16:00 | 369 | ანტალია-დენიზლი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 16:00 | 370 | ბურსა-კაისერი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 20:00 | 371 | ფენერბაჩე-მანისა | 1.25 | 5.10 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.37 |

**რუსეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 14:00 | 372 | ყუბანი-სატურნი | 2.80 | 2.60 | 2.70 | 1.34 | 1.37 | 1.32 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 14:00 | 373 | ენერგია-ამკარი | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 14:00 | 374 | კრილია-როსტოვი | 1.75 | 3.10 | 4.70 | 1.11 | 1.27 | 1.86 |
| 14:00 | 375 | ლოკომოტივი მ-ხიმკი | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| 14:00 | 376 | რუბინი-მოსკოვი | 2.55 | 2.60 | 3.00 | 1.28 | 1.37 | 1.39 |
| 14:00 | 377 | ზენიტი-დინამო მ | 1.60 | 3.30 | 5.70 | 1.07 | 1.24 | 2.08 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 14:00 | 378 | ცსკა მ-ნალჩიკი | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |
| 14:00 | 379 | ტომსკი-სპარტაკი მ | 3.50 | 2.90 | 2.10 | 1.58 | 1.31 | 1.21 |

**ჩეხეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 389 | სპარტა-ტეპლიცე | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 19:00 | 391 | კლადნო-ბოლესლავი | 2.70 | 3.00 | 2.50 | 1.42 | 1.29 | 1.36 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 390 | იაბლონეცი-ბუდეიოვიცე | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 392 | მოსტი-ლიბერეცი | 3.00 | 2.90 | 2.35 | 1.47 | 1.31 | 1.29 |
| 19:00 | 393 | პლზენი-ბანიკი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 394 | პრჟიბრამი-ზლინი | 2.05 | 3.00 | 3.45 | 1.21 | 1.28 | 1.60 |
| 22:15 | 395 | სლოვაცკო-სლავია | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| | | 16 აპრილი | | | | | | |
| 19:15 | 396 | ბრნო-სიგმა | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |

**დანია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 413 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 414 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.70 | 3.40 | 4.85 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 17:00 | 415 | მიდტიულანდი-ნორდშელანდი | 1.90 | 3.40 | 3.75 | 1.21 | 1.26 | 1.78 |
| 17:00 | 416 | ვეილე-რანდერსი | 2.60 | 3.30 | 2.50 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 17:00 | 417 | ვიბორგი-სილკებორგი | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |
| 20:00 | 418 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 442 | ფრედრიკსტადი-ლინი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 443 | ოდ გრენლანდი-ლილესტრომი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 20:00 | 444 | რუსენბორგი-ტრომსიო | 1.45 | 4.00 | 5.80 | 1.06 | 1.15 | 2.36 |
| 20:00 | 445 | სანდეფიორდი-ალესუნდი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 20:00 | 446 | ვოლერენგა-სტაბეკი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 447 | სტარტი-ვიკინგი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | 16 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 448 | ბრანი-სტრიომსგოდსეტი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |

**ირლანდია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 480 | კორკი-შემროკი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 22:45 | 481 | დროგედა-სლიგო | 1.50 | 3.50 | 5.70 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| 22:45 | 482 | გალვეი-ლონგფორდი | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 22:45 | 483 | დუბლინი-ბრეი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 22:45 | 484 | უოტერფორდი-დერი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| 22:45 | 485 | სტ.პატრიკსი-ბოჰემიანსი | 1.90 | 3.10 | 3.55 | 1.17 | 1.23 | 1.65 |

**უეფას თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 22:45 | 539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 22:45 | 540 | ტოტენჰემი-სევილია | 2.05 | 3.10 | 3.45 | 1.23 | 1.28 | 1.63 |
| 22:45 | 541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |

**ინგლისი. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 20:30 | 542 | უოტფორდი-მანჩესტერი | 10.00 | 5.10 | 1.26 | 3.37 | 1.11 | 1.01 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 543 | ბლექბერნი-ჩელსი | 5.75 | 3.50 | 1.58 | 2.17 | 1.23 | 1.08 |

**შოტლანდია. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 15:30 | 687 | სტ-ჯონსტონი-სელტიკი | 8.00 | 4.70 | 1.30 | 2.96 | 1.11 | 1.01 |
| | | 15 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 688 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1.70 | 3.20 | 4.80 | 1.11 | 1.25 | 1.91 |

**დანია. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 545 | ლიუნგბიუ-ჰორსენსი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 21:00 | 546 | ოდენსე-რანდერსი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:00 | 547 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 3.50 | 3.30 | 2.00 | 1.69 | 1.27 | 1.24 |

**ფინეთი. თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 20:00 | 548 | ინტერი-ლაჰტი (ნ) | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |

**ლიბერტადორესის თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 565 | ნასიონალი მ-ველესი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 23:45 | 566 | ბოლივარი-ტოლუკა | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |

**ჰოკეი**

**ჩეხეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 585 | პარდუბიცე-სპარტა | 2.10 | 4.00 | 2.50 | 1.37 | 1.14 | 1.53 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 20:15 | 682 | ცსკა-მაკაბი | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 22:45 | 684 | უნიკახა-ბარსელონა | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.85 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.60 |
| 10539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 2.15 | 2.00 | 5.00 | 1.03 | 1.50 | 1.42 |
| 10540 | ტოტენჰემი-სევილია | 2.50 | 2.00 | 3.85 | 1.11 | 1.51 | 1.31 |
| 10541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 2.15 | 2.00 | 5.20 | 1.03 | 1.52 | 1.44 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11540 | ტოტენჰემი-სევილია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12538 | ვერდერი-ალკმაარი | 2.00 | 1.60 |
| 12539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 12540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.70 | 1.90 |
| 13539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.20 | 2.60 |
| 14539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.45 | 2.40 |
| 14540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.70 | 2.10 |
| 14541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15538 | ვერდერი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15540 | ტოტენჰემი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.15 | 3.90 |
| 16539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.20 | 3.40 |
| 16540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.45 | 2.30 |
| 16541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.20 | 3.40 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17539 | ოსასუნა-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17540 | ტოტენჰემი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18538 | ვერდერი-ალკმაარი | 1.40 | 2.50 |
| 18540 | ტოტენჰემი-სევილია | 2.10 | 1.60 |
| 18541 | ბენფიკა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# საქართველოს ჩემპიონატი




**მეხუთე წრე**

17 აპრილი (სამშაბათი)
12.00 მაკაბი — სტუ
14.00 დინამო — ავიამშენი
16.00 თსუ — აზოტი

18 აპრილი (ოთხშაბათი)
12.00 აზოტი — დინამო
14.00 თსუ — სტუ
16.00 ავიამშენი — მაკაბი

19 აპრილი (ხუთშაბათი)
12.00 სტუ — ავიამშენი
14.00 მაკაბი — აზოტი
16.00 დინამო — თსუ

21 აპრილი (შაბათი)
12.00 სტუ — დინამო
14.00 თსუ — მაკაბი
16.00 ავიამშენი — აზოტი

22 აპრილი (კვირა)
12.00 აზოტი — სტუ
14.00 დინამო — მაკაბი
16.00 ავიამშენი — თსუ

## ULEB Cup — ულების თასი 2006-07
ფინალი. შარლერუა, ბელგია. 10 აპრილი

# უძინართა თასი
## ევროპული რეალობა: ულები რეალისაა

**რეალი 87:75 ლიეტუვოს რიტასი**
*22:18 18:23 29:17 18:17*
რეალი: სმიტი (19), ბალოკი (16), რეიესი (16), ერვილი (10)
რიტასი: ნილსენი (11), რაში (10)

**ბებერი** კონტინენტის ყველაზე სახელიანმა გუნდმა თავის ბრწყინვალე კოლექციას ერთი ტიტულიც შემატა — მადრიდის „რეალმა“ ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირი, ულებ-ის თასი მოიგო და ეს ამ გუნდის მე-14 კონტინენტური ტიტულია.

ბელგიის ქალაქ შარლერუაში გამართული ულებ-ის თასის ფინალი იმდენად სანახაობრივი არ გამოდგა, რამდენადაც დაძაბული. ორივე გუნდი ფრთხილობდა და ვინც გარისკა, საბოლოოდ იმან მოიგო.

„ლიეტუვოს რიტასს“ ორი წლის წინ მოეგო ულებ-ის თასი და დუბლის შესრულებაც გულით ეწადა, მაგრამ ესპანურ გრანდს ტოლსწორად მხოლოდ პირველ ტაიმში ეპაექრა, მერე კი საქმეში „რეალის“ ამერიკელები ჩაერთვნენ და...

„თამაშის წინა ღამე თეთრად გავათენე. ჩვეულებრივ, უძილობას არ ვუჩივი, მაგრამ წუხელ თვალი ვერ მოვხუჭე — ამბობდა ნამატჩევს ფინალის უძვირფასესი მოთამაშე ამერიკელი სმიტი — მეორე ტაიმიდან მიზანი გამეხსნა და საქმეც კარგად წაგვივიდა. მწვრთნელმა მითხრა, ესროლეო და მეც შევასრულე. არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს რკალი ჩვეულებრივზე დიდი იყო და მეც ჩაგდება არ მიჭირდა“.

საბოლოოდ სმიტმა 6 სამქულიანი მიითვალა, რაც ულებ-ის თასის ფინალებისთვის სარეკორდოა. სწორედ ჩარლზ სმიტისა და ლუის ბალოკის შორი სროლების წყალობით გატეხა „რეალმა“ დაცვაში ჩაუქად მდგარი „ლიეტუვოს რიტასი“. ლიტველთა ზონის გასარღვევად უებარი საშუალება გამოდგა ამერიკელთა სამქულიანები და „რეალის“ უპირატესობამ მესამე მეოთხედში ათ ქულას გადააჭარბა.

„მათ პირველ ტაიმში 11-დან 2 სამქულიანი ჩაგვიგდეს, ხოლო მეორეში — 12-დან 8. უბრალოდ, შეადარეთ და მიხვდებით, რა იყო ჩვენი დამარცხების მიზეზი — თქვა ლიტველთა დამრიგებელმა ალექსანდრ ტრიფუნოვიჩმა — სმიტი და ბალოკი, ჩემი აზრით, ამ ტურნირის ორი საუკეთესო თავდამსხმელია, რომლებმაც მეორე ტაიმში პირადად მოგვიგეს“.

ყველაზე მეტად იყო გახარებული მადრიდელთა მწვრთნელი ხუან პლაზა, რომელმაც ალალად აღიარა, ეს ჩემი უდიდესი წარმატებააო:

„მინდა, ეს გამარჯვება პირველ რიგში ანტონიო მარტინსა და ალბერტო ერეროსს მივუძღვნა, რომლებმაც „რეალში“ სამუშაოდ მიხმეს. არასდროს დამავიწყდება ამ ხალხის მოულოდნელი გადაწყვეტილება, როცა მე, სრულიად უცნობი სახელისა და გვარის მქონე ადამიანი, „რეალის“ მწვრთნელად დამნიშნეს. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ იმედები გავამართლე და სამეფო კლუბს კიდევ ერთი ტიტული მოვაგებინე. ეს გამარჯვება, რა თქმა უნდა, „რეალის“ ერთგულ ქომაგს ეძღვნება, რომელიც ჩვენს 14-ათასიან დარბაზს პირთამდე ავსებდა ხოლმე“.

„რეალმა“ ულებ-ის თასის მოგებით ევროლიგის საგზური მოიპოვა და მომავალ სეზონში უფრო პრესტიჟული ტიტულის მოსაგებად იბრძოლებს.

**ირაკლი პერტაია**




## NBA რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაზა ფაჩულიამ სეზონში მეცხრე ორმაგი დუბლი გააკეთა

10 აპრილი

**ატლანტა 104:96 ბოსტონი**
ატლანტა: ლუ (26 ქულა, 10 პასი), ა. ჯონსონი (5), მ. უილიამსი (21), ჯონსი (4), ფაჩულია (38 წუთი, 22 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება); შ. უილიამსი (14), აივი (11), მედვედენკო (1)
ბოსტონი: რონდო (16), რეი (8), გომესი (7), გრინი (33), პერკინსი (2); პოუ (19), პინკნი (7), ტელფაირი (4)

**შარლოტი 92:82 მაიამი**
შარლოტი: ვოლესი (24 ქულა, 10 მოხსნა), ერმანი (20), ანდერსონი (17)
მაიამი: უოლკერი (17), ვეიდი (14)

**მემფისი 100:112 საკრამენტო**
მემფისი: ჯონსი (20), გასოლი (17), კინსი (14), სვიფტი (14)
საკრამენტო: ბიბი (25), გარსია (19), მილერი (17 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა), უილიამსი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 103:100 კლიპერსი**
ნიუ ორლეანი: ვესტი (33), ბრაუნი (25), პოლი (17 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)
კლიპერსი: ბრენდი (37 ქულა, 10 მოხსნა), მაგეტი (24)

**ჩიკაგო 98:69 ნიუ იორკი**
ჩიკაგო: გორდონი (23), დენგი (15)
ნიუ იორკი: რობინსონი (24), ფრაი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ვაშინგტონი 92:96 ნიუ ჯერსი**
ვაშინგტონი: ჯემისონი (26 ქულა, 11 მოხსნა), სონგაილა (19), დანიელსი (16)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (35), კარტერი (31)

**ფილადელფია 90:86 ინდიანა**
ფილადელფია: მილერი (19 ქულა, 11 პასი), სმიტი (17 ქულა, 11 მოხსნა)
ინდიანა: ონილი (21 ქულა, 10 მოხსნა), ფოსტერი (15)

# ვერა, ვეიდ!
## მაიამის ლიდერმა აურია

ამ გაგანია წინასაპლეიოფო ჯახებში ამერიკაში ორი აღმოსავლელი აუტსაიდერის — „ატლანტასა“ და „ბოსტონის“ შეხვედრა ბევრის ყურადღებას ვერ მიიპყრობდა, მაგრამ ჩვენებურის ამბით დავიწყოთ.

„ატლანტას“ ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ „ბოსტონს“ 22 ქულა ჩაუკალათა, 12-ჯერ კი სხვისი აცილებული მოხსნა და სეზონში მე-9 ორმაგი დუბლი შეასრულა. რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, სულ ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი თამაშები რჩება და კარგი იქნება, თუ ზაზა თავის სტატისტიკურ მაჩვენებლებს კიდევ უფრო გაიუმჯობესებს. საამჟამოდ ფაჩულიას საშუალო მაჩვენებლები 12,2 ქულასა და 6,9 მოხსნას შეადგენს.

რაც შეეხება „ატლანტას“, „ქორებს“ „კელტებთან“ შეხვედრაში სამი საუკეთესო მექულე — ჯო ჯონსონი (25,0 ქულა საშუალოდ მატჩში), ჯოშ სმიტი (16,1 ქულა) და ჯოშ ჩილდრესი (13,0 ქულა) აკლდათ და კონფერენციის უსუსტეს გუნდთან იოლად არ გაუვიდათ ფანდი, მეორე მეოთხედში 13 ქულითაც ჩამორჩნენ მეტოქეს, რომელსაც ასევე არაერთი გამორჩეული მოთამაშე აკლდა (პოლ პირსი, ალ ჯეფერსონი, ვილი შჩერბიაკი...). მაგრამ მასპინძლებმა ფაჩულიას და ახლად მომჯობინებული ტაირონ ლუს ლიდერობით მოახერხეს ჩარხის შემოტრიალება და მესამე პერიოდში ზაზამ 64:63 რომ დააწინაურა, მას შემდეგ სულ მდევრად ამყოფეს სტუმრები.

ამასობაში მთელი ამერიკა „მაიამის“ შესცქეროდა და ამ გუნდისგან სასწაულებს ელის — ჩემპიონებს ხომ ლიდერი დუეინ ვეიდი დაუბრუნდათ და ამით ორმაგად სახიფათონი უნდა გახდნენ, მაგრამ... ვეიდმა უკვე ორი თამაში ჩაატარა გამოჯანმრთელების შემდეგ, თუმც ვერც ამჯერად გაშალა ფრთები — 21 წუთში 14 ქულა და 4 დაკარგვა. მისმა გუნდმა კი ორივე თამაში წააგო და თითქმის გადაწყდა, რომ პლეი ოფში ბადის საშინელ მხარეს მოხვდება — პირველ წრეში „კლივლენდს“ ან „ჩიკაგოს“ შეეტაკება, მეორეში კი სავარაუდოდ „დეტროიტს“.

**კოტე ყორშია**









# შოთა ხაბარელი: ევროპული მედალი მსოფლიოს საგზური არ არის

**ევროპის ჩემპიონატმოლეული ძიუდოისტები უკვე სასექტემბრო მსოფლიოს პირველობაზე ფიქრობენ. საქართველოს ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა ბელგრადში ნაჭიდავები შვიდეული შიდა კონკურენციაში თავიდან უნდა გამოცადოს და რიო დე ჟანეიროსთვის ეგებ სხვა შვიდეულიც შეადგინოს. იქამდე საგაზაფხულო და საზაფხულო საერთაშორისო ტურნირებია და მათზე ხაბარელი ორ-ორი შემადგენლობის წაყვანას აპირებს. ნაკრების გეგმებზე მთავარი მწვრთნელი გუშინ გვესაუბრა, ინტერვიუს დიდი ნაწილი კი, რაღა თქმა უნდა, ჩავლილ ევროპირველობას ეხება**

— ევროპის ჩემპიონატზე აქამდე ასე შედეგიანად არასოდეს გამოვსულვართ. შანსი თითქმის ყოველთვის იყო, მაგრამ იქვე გამოჩნდებოდა ხოლმე ხელის შემშლელი ფაქტორები. ყველა მეკითხება, ველოდი თუ არა ბელგრადში ასეთ წარმატებას. გულახდილად ვამბობ, მართლა ველოდი. ერთადერთი, რასაც შეიძლებოდა ხელი შეეშალა, არაობიექტური მსაჯობა იყო.

— როგორც ჩანს, მსაჯობასთან საპრეტენზიო არაფერია...

— საერთო ჯამში, ასე ობიექტური მსაჯობა ბოლოს როდის იყო, ძნელი გასახსენებელია. ადრე დიდი ტურნირი არ ჩაივლიდა ერთიორი სპორტსმენი რომ არ დაეჩაგრათ. ამჯერად ერთადერთი, ლევან ჟორჟოლიანის ბრინჯაოს შეხვედრაზე მწყდება გული. თავისზე ბევრად გამოცდილ არიელ ზეევთან აშკარად მოგებას იმსახურებდა.

— მოდით, შვიდეულის სერბული ნაჭიდავები წონების მიხედვით შეაფასეთ.

— 60 კილოგრამში ნესტორ ხერგიანის ზოგს აღარ სჯეროდა. მე კი, თუ გახსოვთ, მთელი მოსამზადებელი ეტაპის განმავლობაში ვამბობდი, რომ იგი თავის სიტყვას კიდევ იტყოდა. ასეც მოხდა. ნესტორის ჩამოწერა ჯერ ძალიან ადრეა. მან ბელგრადში ჩინებულად იჭიდავა. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ მეორე წრეში უხერხულ მეტოქეს, ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერს მოუგო. სწორედ ხერგიანის ბრინჯაოთი დაიწყო ჩვენი სიხარული. ცოტა ხანში კი ზაზა კედელაშვილის (66კგ) ოქრომ გაგვახარა. ზაზამ ბრწყინვალედ იჭიდავა. თავიდანვე ფავორიტი იყო და ისე გაჩემპიონდა, ოდნავი სალაპარაკოც არავისთვის მიუცია.

— ფინალში სერბ მიალკოვიჩთან დამატებით დროში იჭიდავა. ამ უკანასკნელმა იქამდე, ყველასთვის მოულოდნელად, ფრანგ ბენჟამენ დარბალეს მოუგო. ხომ არ გერჩივნათ, კედელაშვილი ფრანგს შეხვედროდა?

— არავითარ შემთხვევაში. დარბალე დღესდღეობით ზაზას უმთავრესი კონკურენტია ევროპაში. მიალკოვიჩი კი 66 კილოგრამში ახალი გადმოსულია და მიუხედავად იმისა, რომ 60-ში კარგად ჭიდაობდა, ჯერ კედელაშვილს საფრთხეს ვერ შეუქმნის. მართალია, ფინალი დამატებით დრომდე გაიწელა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მეორედ შეხვდრისას ზაზა პირველსავე წუთზე იპონით მოუგებს.

— ოქროს მოგების მეორე შანსი დავით ქევხიშვილმა (73კგ) ვერ გამოიყენა. არადა, ფინალში რუს სალმან მეჯიდოვთან რამდენიმე სუფთა ილეთი არ შეუფასეს...

— რამდენჯერმე მართლაც ტატამს შიგნიდან დაიწყო გდება და ქულა ერთხელ მაინც რომ მიეცათ, ალბათ ჩემპიონობის შანსს ხელიდან აღარ გაუშვებდა, თუმცა „ქევხამ" პირველ რიგში თავისი შეცდომის გამო წააგო. ბოლო წამები იყო, მეტოქეს აშკარად აღარ შეეძლო და ჯობდა, მისთვის უკანმოუხედავად არ შეეტია. მეტი სიფრთხილის შემთხვევაში მეჯიდოვი ბრძოლის შემოტრიალებას ველარ შეძლებდა. ასეა თუ ისე, დავით ქევხიშვილის მისამართით საყვედურს ვერაფრით ვერ ვიტყვი. ამ ბიჭს ევროპის ჩემპიონატამდე ექვსი თვე გაუცდა ტრავმის გამო და მხოლოდ ბოლო ორი შეკრება გაატარა გუნდთან ერთად. პრობლემების მიუხედავად, მისი გამოცდილების მეიმედებოდა და გაამართლა კიდეც.

— 81 კილოგრამში დებიუტანტმა იჭიდავა და მეშვიდე ადგილზე გავიდა. გიორგი ბაინდურაშვილის გამოსვლით კმაყოფილი დარჩით?

— მიუხედავად იმისა, რომ მედლის მოპოვება ვერ შეძლო, ბაინდურაშვილის ჭიდაობამ სასწაული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბრწყინვალედ გამოვიდა და შედეგამდე მხოლოდ გამოცდილება დააკლდა. მეოთხედფინალში სირენამდე 10 წამით ადრე იგებდა და მერელა დამარცხდა. დარწმუნებული ვარ, ტურნირიდან ტურნირამდე მოუმატებს. მშვენიერი შანსი აქვს, შიდა კონკურენციაში 81 კილოგრამის ლიდერად იქცეს.

— ირაკლი ცირეკიძემ (90კგ) და ლაშა გუჯეჯიანმა (+100კგ) ევროპირველობაზე ფინალები წააგეს...

— ორივემ ბრწყინვალედ იჭიდავა. ცირეკიძემ დამატებით დროში დაკარგა ოქრო. ცოტა იღბალი რომ ყოფილიყო მის მხარეს, აუცილებლად ჩემპიონი გახდებოდა, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ უკრაინელმა ვალენტინ გრეკოვმა მესამე ოქრო მოიგო. არადა, ამ ჩემპიონატამდე ირაკლი მას ორჯერ შეხვდა და ორჯერვე დაჩაგრა. გუჯეჯიანმა ტურნირი ისე დაიწყო, თავიდანვე ყურადღების ცენტრში მოექცა. მთავარი ფავორიტი კი, რაღა თქმა უნდა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, რუსი ალექსანდრ მიხაილინი იყო. ლაშამ, ბევრისთვის მოულოდნელად, მიხაილინს ისე მოუგო, მცირე შანსიც კი არ დაუტოვა. მერე კი ზედ უკრაინელი მსოფლიოს პრიზიორი ევგენი სოტნიკოვიც მიაყოლა. ფინალში ფრანგ რინერთან კოკად შეფასებული ილეთი იუკოს უფრო ჰგავდა. მართალია, ამ ილეთით ლაშა წინ ვერ გადიოდა, მაგრამ სხვაობა მინიმუმამდე შემცირდებოდა და სულ სხვანაირი ჭიდაობა წავიდოდა. გუჯეჯიანმა ევროპის ჩემპიონატის წინ შეკრებაზე ათი კილოგრამი დაიკლო. 140-დან 130-მდე ჩამოვიდა და სწორედ ამან განაპირობა მისი წარმატება. ტანად პატარაა და მისი კოზირი ტექნიკური და მოძრავი ჭიდაობაა. მომავალშიც ამ ხერხს მივმართავთ და, დარწმუნებული ვარ, უკეთეს შედეგებსაც მივაღწევთ.

— ნაკრების მეორე დებიუტანტ ლევან ჟორჟოლიანს მედლამდე ერთი მოგება დააკლდა. ზემოთ მსაჯების შეცდომა ახსენეთ. გამოუცდელობამაც ხომ არ შეუშალა ხელი?

— გამოუცდელობამ ნახევარფინალში შეუშალა ხელი, უძლიერეს რუს რუსლან გასიმოვთან დამატებით დროში წააგო. იქამდე კი ორი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. პირველსავე წრეში მსოფლიოს პრიზიორი, აზერბაიჯანელი მოვლუდ მირალიევი დაამდო იპონზე. ჟორჟოლიანი 100 კილოგრამში უძლიერეს ძიუდოისტად ყალიბდება და გარკვეული დროის შემდეგ შედეგს ყველა ნათლად დაინახავს.

— წლეულს მთავარი ტურნირი სექტემბერში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატია. მისთვის ნაკრები თავიდან დაკომპლექტდება?

— რა თქმა უნდა, ევროპული მედალი ნაკრებში ადგილის განაღდებას არ ნიშნავს. შიდა კონკურენცია გრძელდება და საუკეთესოებს სექტემბრამდე დარჩენილი საერთაშორისო ტურნირები გამოავლენს. გეგმაში სამი ტურნირი გვაქვს. მსოფლიოსთვის მზადებას დღე-დღეზე შევუდგებით. ვაკის დარბაზში განვაახლებთ ვარჯიშებს. უახლოესი შეჯიბრი კი თვის ბოლოს იტალიაში გასამართი მსოფლიოს თასია. მასზე ორი შემადგენლობით გავემგზავრებით 26 აპრილს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ბატუტზე ხტომა

# კვებეკში დაწყებული კვებეკში უნდა გაგრძელდეს

გუშინ სპორტის დეპარტამენტში ბატუტზე ხტომის ფედერაციის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა და კანადაში ჩატარებული მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე ეტაპი შეაჯამა. შეგახსენებთ, რომ კანადაში ლიუბა გოლოვინამ მეხუთე ...ალი დაიკავა, თენგიზ კოშკაძე მეთვრამეტე იყო, ზურაბ ჭყონია კი 48-ე ადგილს დასჯერდა.

პრესკონფერენციას ფედერაციის პრეზიდენტი *რუსუდან ხოფერია*, ნაკრების თავკაცი *ზაურ სულაშვილი*, გოლოვინას მამა და პირადი მწვრთნელი *ვალერი გოლოვინა* და სპორტის დეპარტამენტის თავჯდომარე *დავით ნამგალაური* დაესწრნენ. სიტყვა თავიდან ნამგალაურმა აიღო — კვებეკში ნაჩვენები შედეგები ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. ნათლად ჩანს, რომ ფედერაცია მიზანმიმართულად მუშაობს. მეხუთე ადგილი ნამდვილად კარგი შედეგია. ცუდად არც ბიჭები გამოსულან. სპორტის დეპარტამენტი მომავალშიც გააგრძელებს ბატუტისტთა დახმარებას. ის ტრადიციები, რომელიც ამ სახეობაში გვაქვს, უნდა შევინარჩუნოთ. მადლობა ფედერაციის ხელმძღვანელობას, ისინი ყველა სირთულეს გაუმკლავდნენ. ბევრმა ალბათ არ იცის, რომ სპორტსმენებს სავიზო პრობლემები ჰქონდათ. ყველაფრის მიუხედავად კარგი შედეგი აჩვენეს. იმედია, ფედერაცია დანაპირებს შეასრულებს და ლიცენზიების მოპოვებას შეძლებს.

ამის შემდეგ კომენტარი *რუსუდან ხოფერიამ* გააკეთა — ლიუბა გოლოვინას ახალგაზრდებში ყველაფერი მოგებული აქვს, მაგრამ ეს შედეგი მის კარიერაში საუკეთესოდ უნდა შეფასდეს. კვებეკში მან უშუალო კონკურენტებთან გამოსცადა ძალები. მისი მეტოქეები ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ. თენგიზ კოშკაძის მეთვრამეტე ადგილიც კარგი შედეგია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ლიცენზიის მოპოვება გოგონებშიც და ვაჟებშიც შევძლოთ.

ბოლოს ერთი-ორი სიტყვა *ლიუბა გოლოვინამაც* თქვა: კმაყოფილი ვარ ჩემი გამოსვლით. მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საპეკინო ლიცენზიის მოპოვება შევძლო.

ქართველ ბატუტისტებს უმნიშვნელოვანესი ტურნირი შემოდგომაზე ელით. 2-6 ნოემბერს კვლავ კვებეკი უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატს, სადაც გათამაშდება კიდეც საპეკინო ლიცენზიები. ჩვენი სპორტსმენები სწორედ აქ გეგმავენ მთავარ ბრძოლას. მანამდე დიდი დროა და შეეცდებიან, რომ კანადაში გამგზავრებამდე კარგად მოემზადონ.

**ლევან მაისურაძე**



ლიუბა გოლოვინა



რუსლან ჩაგაევი

## სკამიდან დანახული ვალუევი

კვირას გამთენიისას შტუტგარტში ტიტულის დასაცავად რინგზე გავა პროფესიონალური კრივის უმაღლესი და უმძიმესი წარმომადგენელი რუსლან ვალუევი, რომელიც უზბეკ რუსლან ჩაგაევს დაუპირისპირდება.

გიგანტი ვალუევი ამ ბრძოლას საკმაოდ ზერელედ ეკიდება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ, თავისივე განცხადებით, ვარჯიშით თავი არ მოუკლავს, რადგან ჩაგაევის დასამარცხებლად საუკეთესო ფორმა არ სჭირდება. უფრო მეტიც, თევზაობის მოყვარული „დიდი კოლია" კრივზე ნაკლებად ფიქრობს და იმაზე ოცნებობს, როდის მისცემენ მწვრთნელები შტუტგარტის მაღაზიებში გასვლის ნებას, ახალი სათევზაო აღჭურვილობის ყიდვა რომ შეძლოს.

ისე, ვალუევი ფავორიტი კი არის, მაგრამ ასეთი აგდებული დამოკიდებულება შეიძლება, ძალიან მწარედ შემოუტრიალდეს — ამის გამო მოსულელო რუსზე გაცილებით სერიოზული მოკრივეებისთვის დაუსისხლიანებიათ თავ-ყბა.

ოღონდ ეგაა, რომ თავად ჩაგაევი ვერ არის საბრძოლო განწყობაზე და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბრძოლას რინგზე გასვლამდე, გასახდელში წააგებს:

„ნიკოლაისთან ჩხუბი მართლა ძნელია. ამხელა კაცს სახეში როგორ უნდა მოარტყა, ძნელი წარმოსადგენია. ხანდახან ვარჯიშისას ტელევიზორზე ან კიდევ პატარა სკამზე ვდგები, მომავალი მეტოქის სიმაღლე რომ გავითავისო. ჩემი მიზანი ჩემპიონობა კი არის, მაგრამ ქამრის პრეტენდენტობაც დიდი მიღწევაა".

**ქახა ლომჯამვილი**

## დაწუნებულ მოსკოვს ჩემპიონატი დაუბრუნეს

სამოყვარულო კრივის კავშირმა (AIBA) მორიგი მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთისთვის ჩამორთმეული და კორეელებისთვის გადაცემული მსოფლიოს ჩემპიონატი ამ დღეებში ისევ რუსებს დაუბრუნა. ინფორმაცია ფედერაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც კორეელებმა მასპინძლობისთვის საჭირო ფინანსური გარანტიები ვერ დააკმაყოფილეს.

AIBA კორეელებისგან მილიონნახევარ დოლარს ითხოვდა, ესენი კი მხოლოდ მესამედს, ნახევარ მილიონს გამოდიოდნენ და საბოლოოდ ტურნირიც დაკარგეს. მსოფლიოს ჩემპიონატი მოსკოვში 15-30 სექტემბერს უნდა ჩატარდეს, თუ საერთაშორისო კავშირმა იქამდე კიდევ რამე არ შეცვალა.

**ოთარ გაღლაძელიძე**



## მონტგომერის გომორი

### ჯერ დოპინგი, მერე აფერისტობა



ამერიკელი ტომ მონგომერი ჯერ იყო და დოპინგ-სკანდალში გაეხვია, რის გამოც 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდი ჩამოართვეს და დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს, ახლა კი სხვა დანაშაულის აღიარებაც მოუხდა. როგორც ნიუ იორკის სასამართლოს პრესსამსახური იუწყება, მონტგომერი ფინანსურ მაქინაციაში გამოტყდა.

მონტგომერის და კიდევ ათ კაცს ბრალად საერთო ჯამში 5 მილიონი დოლარის საბანკო ქვითრების გაყალბება ედებათ. თავად მონტგომერიმ 775 ათასი დოლარის ასეთი ქვითარი გაანაღდა.

ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო გუშინ დაიწყო და განაჩენს 1 ნოემბერს გამოიტანენ. ვექილთა თქმით, მონტგომერის 37-დან 46 თვემდე პატიმრობა ელის.



RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## საფრანგეთისკენ

დღევანდელ საქართველოს ნაკრებში თუ ვინმეს ეთქმის სეფესიტყვა, ერთ-ერთი ჩვენი „ლელოების" უგამოცდილესი მორკინალი ზურაბ მჭედლიშვილია. 34 წლის მჭედლიშვილი ნაკრებს ლამის პირველი თაობიდან მოჰყვება და 2003 წლის მსოფლიოს თასზეც ითამაშა. ამის შემდეგ ქართველთა მეორეხაზელი ერთი-ორჯერ თუ გამოჩნდა „ლელოებში", ახლა კი ტრავმიანობის და ფრანგული კლუბების სიჯიუტის გამო შესუსტებული ნაკრები არ მიატოვა და საფუძვლიანი დაბრუნება მოიწყო. ჩეხეთთან თექვსმეტიდან პირველი ლელო სწორედ მჭედლიშვილის იყო, მანამდე კი რუსებს გაუტანა გარდამტეხი ლელო. ფრანგული „დომონის" მორკინალს სარუბრიკო ამბებთან ერთად სხვა ბევრზეც ვესაუბრეთ...



# ძველი მორკინალის მეორე ახალგაზრდობა

## მჭედლიშვილს ლელოების გამოჭედვა არ ბეზრდება

— ჩეხებთან სარეკორდო ანგარიშით 98:3 მოიგეთ. ასეთი მატჩები რით წაადგება საქართველოს ნაკრებს?

— უპირველეს ყოვლისა, ჩეხეთის დარ მეტოქესთან უნდა გამოცადო ახალბედები და რამდენიმე ტაქტიკური მონახაზი დაამუშავო. საერთაშორისო კალენდარი ახლა ისეთი გადატვირთულია, რომ ძნელად, ტესტ-მეტოქე გამონახო, ხოლო როდესაც გეძლევა საშუალება, ოფიციალურ მატჩში ექსპერიმენტებს მიმართო, ასეთი შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა.

— რამდენად „კარგი" სპარინგ-მეტოქე გამოდგა ჩეხეთი?

— სიმართლე გითხრათ, მათგან გაცილებით მეტს ველოდით, მაგრამ რაც იყო, იყო... ყოველ შემთხვევისთვის ჩვენთვის სასარგებლო მატჩი გამოდგა.

— თუ არ ჩავთლით ესპანეთთან სენსაციურ წაგებას, საქართველოს ნაკრებმა სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო...

— ესპანეთთან მარცხს ტრაგედიად ნუ აღვიქვამთ. შემოდგომაზე მსოფლიოს თასი გველის და ახლა თუ არ ჩამოყალიბდა ნაკრების ძირითადი ბირთვი და ტაქტიკური მონახაზი, ზედ მსოფლიოს თასის წინ ექსპერიმენტები გაუმართლებელი იქნება. თანაც ესპანეთთან მარცხს მაინცდამაინც არ შეუმცირებია ერთა თასზე ჩვენი საჩემპიონო შანსები. რაც არ უნდა იყოს, რუმინეთთან გაისად თბილისში სამი და ნაკლები ქულით წაგების იმედზე ხომ არ ვიქნებოდით? მათ ყველა ვარიანტში უნდა ვაჯობოთ, თუ ორი წლის ჯამში ერთა თასის მოგება გვინდა.

— ბოლო დროს ნაკრებში არ ჩანდი, რუსეთთან მატჩში დაბრუნდი, ჩეხებთანაც ითამაშე. თანაც ორივეჯერ ლელო გაიტანე. ასაკის მიუხედავად, კარგ ფორმაში ხარ...

— ბანალურად რომ ვთქვათ, მეორე ახალგაზრდობას განვიცდი. წელს სეზონი კარგად დავიწყე. კლუბში ყველა მატჩი თავიდან ბოლომდე ვითამაშე. მხოლოდ ერთხელ იყო, მეორე ტაიმში ტრავმის გამო რომ შემცვალეს. საბედნიეროდ, არაფერი მაწუხებს და ჯანზე ვარ.

— ერთ-ერთი ხარ იმათგან, ვინც წინა მსოფლიოს თასზე ითამაშა და წლევანდელ ჩემპიონატზე წასვლის შანსიც გაქვს...

— ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია. ისე კი კარგ ფორმაში ვარ და თუ რამე არ დამემართა, ალბათ წლეულსაც ვითამაშებ მსოფლიოს თასზე. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს.

— ისევე როგორც წინა მსოფლიოს თასზე, ახლაც იგივე მიზანი გაქვთ — მოიგოთ ერთი მატჩი შედარებით სუსტ მეტოქესთან. წინაზე ასეთი ურუგვაი იყო, რომელმაც მოგიგოთ, ახლა კი ნამიბიაა...

— ნამიბიის ნაკრები ერთი შეხედვით არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი. მათ უკეთ ივნისში, რუმინეთში გასამართ საერთაშორისო ტურნირზე გავიცნობთ. ისე კი, მოვიდა დრო, რომ მსოფლიოს თასიდან ერთი მატჩი „წამოვიღოთ". მით უმეტეს, უკვე აღარც გამოუცდელები გვეთქმის. რაც შეეხება წინა მსოფლიოს თასს, მაშინ ჩვენი წარუმატებლობა ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. ჩემპიონატის წინ წამყვანი მოთამაშეები ტრავმების გამო გამოგვაკლდნენ. კიდევ იყო რაღაც მიზეზები და ყველაფერმა ერთად უარყოფითად იმოქმედა გუნდზე.

— მაშინდელი ნაკრები უფრო ძლიერი იყო თუ ახლანდელი?

— ტრავმები რომ არა, შემადგენლობით ის ნაკრები სჯობდა. თამაშის ხარისხით კი ახლანდელი ოდნავ უკეთესია, თუმც საგრძნობ სხვაობას ვერ ვხედავ. ისე კი ამ კითხვაზე პასუხი უპრიანი მაშინ იქნება, როდესაც მწვრთნელები სამსოფლიოსთასო ოცდაათკაციან შემადგენლობას დაასახელებენ.

— შენი თაობიდან გაისად ნაკრებში ალბათ ერთი-ორი მორაგბე თუღა ითამაშებს. შენ რა გადაწყვიტე?

— ვფიქრობ, რომ მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერას დავასრულებ, მაგრამ საბოლოოდ ჯერ არ გადამიწყვეტია.

**ბაჩო სვანიძე**



ძველი და მაგარი ქართველები: ლევან ცაბაძე, ვიქტორ დიდებულიძე და ზურაბ მჭედლიშვილი

# ალესანდრო ფლანდრიელი



ალესანდრო ბალანი

**ბელგიის** ფლანდრიულ ნაწილში ერთდღიანი რბოლების ორკვირეული უპრესტიჟულესი კლასიკური „ფლანდრიის ტურით“ დასრულდა. მანამდე იქ მიყოლებით სამი ნახევრადკლასიკური რბოლა ჩატარდა, რომელთაგან ორი „ქვიკ სტეპის“ ბელგიელმა მრბოლმა ტომ ბოონენმა მოიგო. სწორედ მსოფლიოს ექსჩემპიონი ითვლებოდა რიგით 91-ე „ფლანდრიის ტურის“ მთავარ ფავორიტად. თანაც ბოონენს ფლანდრიაში შარშან და შარშანწინ ემარჯვა და წელსაც თუ მოიგებდა, ერთგვარ ჰეთ თრიკს შეასრულებდა.

არ გამოვიდა ასე — ბელგიელთა კერპი 259-კილომეტრიანი ურთულესი გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე დაეცა და მართალია, ტრავმის მიუხედავად ფინიშს უწია, საჩემპიონო რბოლაში ჩართვა ველარ შეძლო.

რბოლა მართლაც ურთულესი იყო და 200 მონაწილიდან 259 კილომეტრის გავლა მხოლოდ 116-მა შეძლო. მთავარი ამბები კი ბოლო აღმართზე მოხდა, როდესაც „ლამპრეს“ იტალიელი ალესანდრო ბალანი და „ლოტოს“ ბელგიელი ლეიფ ჰოსტე მოწინავე ჯგუფს მოწყდნენ და ფინიშისკენ გაქანდნენ. საფინიშო საქმის გარჩევაში კი უფრო მარდი ბალანი აღმოჩნდა და გამარჯვებაც მას დარჩა. იტალიელმა ბრიუგედან ნინოვემდე გაჭიმული გზა 6 საათში, 10 წუთსა და 15 წამში დაფარა. ჰოსტეს იგივე დრო ჰქონდა, ხოლო მესამე ადგილზე გასული კიდევ ერთი იტალიელი ლუკა პაოლინი გამარჯვებულს 5 წამით ჩამორჩა.

„ფლანდრიის ტური“ „პრო-ტურის“ სერიაში შემავალი რბოლაა და ბუნებრივია, მისი დასრულების შემდეგ სერიის საერთო ჩათვლაში გარკვეული გადაადგილებანი მოხდა, თუმც პირველ ადგილზე კვლავაც ესპანელი ალბერტო კონტადორია 56 ქულით.

**გია მუჯირი**

### პრო-ტურის სერიის საერთო ჩათვლა

მრბოლები: 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქოვერი“) 56 ქულ; 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“) 53, 3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) 52; 4. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) 50; 5. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი“) 42; 6. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი“) 41; 7-8. ლეიფ ჰოსტე (ბელგია, „ლოტო“) და ალან დევისი (ავსტრალია, „დისქოვერი“) 40-40; 9-10 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, „ასტანა“) და ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, „კაისე დეპარგნე“) 38-38

გუნდები: 1. დისქოვერი (აშშ) 71 ქულა; 2. CSC (დანია) 66; 3. ლიქუიგასი (იტალია) 61; 4. კაისე დეპარგნე (ესპანეთი) 52; 5-7. ლამპრე (იტალია), ლოტო (ბელგია) და ასტანა (ყაზახეთი) 45-45; 8. T-მობაილი (გერმანია) 36; 9-10 AG2R (საფრანგეთი) და მილრამი (იტალია) 42-42

## აედომ პეტაკი ააწუწუნა

**გერმანიის** ქალაქ კიოლნში 92-ედ ჩატარდა ერთდღიანი ნახევრად კლასიკური რბოლა, რომლის დისტანცია 203 კილომეტრი იყო.

გამარჯვება ველოსპორტის სამყაროში უცნობმა არგენტინელმა ხუან ხოსე აედომ მოიპოვა. დანიური CSC-ის მრბოლმა საფინიშო საქმის ისეთ დიდოსტატს აჯობა, იტალიელი ალესანდრო პეტაკი რომ არის. არადა, პეტაკი მოგებას გეგმავდა და მესამე ადგილით (აედოს გარდა მას ავსტრალიელმა გრემ ბრაუნმაც გაასწრო) ფრიად უკმაყოფილო დარჩა. „რბოლა ფინიშამდე 30 მეტრით ადრე წავაგე. ძალა აღარ მეყო. ეტყობა, შარშანდელი ტრავმის შემდეგ ბოლომდე მწყობრში ჩადგომა ჯერაც ვერ მოვახერხე“ — წუწუნებდა ფინიშის შემდეგ პეტაკი.

## ბასკეთში კობო ლიდერობს

**ესპანეთის** ჩრდილოეთით, ბასკეთის პროვინციაში „ბასკეთის ქვეყნის ვუელტაა“ გაჩაღებული და ორი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლას სათავეში „სონი დიუვალის“ ესპანელი მრბოლი ხუან ხოსე კობოა.

კობომ ურეჩუში გამართული პირველი, 139-კილომეტრიანი ეტაპი მოიგო და უკან ისეთი ხალხი მოიტოვა, როგორებიც შარშანდელი გამარჯვებული, ესპანელი ხოსე ანხელ მიგელ მარჩანტო, აგრეთვე ესპანელები — ალეხანდრო ვალვერდე და ოსკარ სევილია, იტალიელი დანილო დი ლუკა და ლუქსემბურგელი ფრანკ შლეკი არიან.

მეორე ეტაპი, რომელიც ურეჩუსა და კარანზას შორის 191 კილომეტრზე იყო გაჭიმული, კიდევ ერთმა მასპინძელმა, ვეტერანმა მანუელ ბელტრანმა მოიგო. კობო ამ ჯერზე მეშვიდე იყო და გამარჯვებულს 26 წამით ჩამორჩა, მაგრამ საერთო ჩათვლის ლიდერობა მაინც შეინარჩუნა. „სონი დიუვალის“ მრბოლი მეორე-მესამე ადგილებზე მყოფ მარჩანტესა და ბელტრანს 6-6 წამს უგებს. ვალვერდე ლიდერს 27 წამით ჩამორჩება.

## დაცემული ცაბელი

**კვირას** ჩატარებული „ფლანდრიის ტური“ უიღბლო გამოდგა სახელოვანი გერმანელი მრბოლის ერიკ ცაბელისთვის. „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის საუკეთესო ფინიშიორი, ვინც ახლა იტალიურ-გერმანული გუნდის „მილრამის“ ღირსებას იცავს, ფლანდრიული რბოლისას დაეცა და ტრავმის გამო შეჯიბრი მიატოვა.



თანაც, ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა და „ფლანდრიის ტურს“ ვინლა ჩივის, ცაბელს კიდევ ორი კლასიკური ერთდღიანი რბოლის გამოტოვება მოუწევს — გერმანელი არც გუშინ გამართულ „გენტ-ვარევემზე“ იქნებოდა და ვერც 22 აპრილს, „პარიზი-რუბეს“ რბოლაში მიიღებს მონაწილეობას.



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი



AFP

# კიმის ბაჰრეინული იმედი

**კვირას** მორიგი საპირველფორმულო ეტაპია — სპარსეთის ყურეში ჯუჯა კუნძულ ბაჰრეინის დიდი პრიზი გათამაშდება.

შეგახსენებთ, წინა, მალაიზიურ რბოლაში „მაკლარენის“ პილოტებმა ფერნანდო ალონსომ და ლუის ჰემილტონმა დიდი უპირატესობით სძლიეს სასტარტო, ავსტრალიური გრან პრის ტრიუმფატორ ფერარელ კიმი რაიკონენს და დუბლით (პირველ-მეორე ადგილები) გაიმარჯვეს. კიმი „სეპანგის“ პოდიუმზე მაინც შედგა, თუმც, როგორც გაირკვა, მელბურნში ბრძოლის მიწურულს ძრავის გამაცივებელი სითხის გადინების გამო ოდნავ გადახურებულ მოტორს უფრთხილდებოდა და მაქსიმალურად არ ტვირთავდა:

„ძრავის პრობლემების გამო მალაიზიაში ერთთავად კომპრომისზე მივდიოდით, რათა ის არ „დაგვეწვა“. ისეთ ვითარებაში ვიყავი, როცა მთელი ძალით ბრძოლის ნაცვლად თავის შეკავება მიხდებოდა. მიზანი მოგება კი არა, უბრალოდ, ფინიშთან მისვლა იყო. ეს, როგორც ფეხბურთშია — დაცვიდან თამაში უგოლო ფრის შესანარჩუნებლად. მაგრამ იმედიანად ვარ, რადგან ბაჰრეინში ახალ ძრავა მექნება და როცა ყველაფერი ისევ ასი პროცენტით ამუშავდება, ისეთივე სწრაფები ვიქნებით, როგორც მელბურნში“.





# ბაქოში ოლიმპიადა ჩაიფიქრეს

## აზერბაიჯანმა პატრიკ ჰიკიც მოხიბლა

**მაშინ,** როცა საქართველოში მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და სპორტდარბაზების მეტი თითქმის არაფერი შენდება, ხოლო არსებულ ბაზების ვეღარ ვუვლით, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში ამ მხრივ დიდი აღმშენებლობაა. იქ ერთმანეთის მიყოლებით სოკოებივით მრავლდება უმაღლესი დონის სპორტდარბაზები, მოედნები, აუზები და სპორტული კომპლექსები, რასაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკიც მოუხიბლავს. იგი ამბობს, აზერბაიჯანში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ იქ 2016 წლის ოლიმპიური თამაშები ჩატარდესო.

„აზერბაიჯანში თვალნათლივ ჩანს სპორტის სწრაფი განვითარება. ყველა ქვეყანას განვითარების სპეციფიკური პროგრამა აქვს. არის სპორტის სახეობები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში განვითარების ტემპებით განსხვავდებიან. ამიტომაც ძნელია პარალელების გავლება, მაგრამ ბოლო ხანს აზერბაიჯანში სპორტი მართლაც სწრაფი ტემპით ვითარდება. აქ აგებულია თანამედროვე სპორტული ნაგებობები. ამაში თავადაც დავრწმუნდი, როცა მასალიში ოლიმპიური სპორტული კომპლექსის გახსნის ცერემონიას დავესწარი. მე ძალიან მომეწონა ამ კომპლექსის ხარისხი და ვფიქრობ, რომ იგი დიდ სარგებელს მოუტანს ამ რეგიონის მოსახლეობას. ასეთი სპორტული კომპლექსების მშენებლობით სახელმწიფო აზერბაიჯანის ახალ მწვერვალებზე აყვანას ცდილობს. მე არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების მერე ზედიზედ მომდევნო ამგვარი ასპარეზობის ჩატარება ევროპაში არარეალურია მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანში მისი მასპინძლობის ყველა პირობაა“ — თქვა პატრიკ ჰიკმა.

# პლეი ოფი. პირველი წრე

## დასავლეთი

### დეტროიტი (1) — კალგარი (8)

რეგულარული ჩემპიონატი: დეტროიტი 50-19-13; კალგარი 43-29-10
სეზონის სერია: 2:2

მიუხედავად იმისა, რომ „კალგარიმ“ დასავლეთში ყველაზე ბოლოს გაინაღდა პლეი ოფის საგზური, კონფერენციის პირველ გუნდთან ჯახში ფავორიტად მაინც კანადელები მიიჩნევიან. ეს იმიტომ, რომ ბოლო წლებია, „დეტროიტი“ რეგულარულ ჩემპიონატში დიდებულად თამაშის შემდეგ სათასო ორთაბრძოლებში საზიზღრად გამოიყურება — ასე განსაჯეთ, 2002 წლის შემდეგ, ანუ რაც „წითელფრთიანებმა“ სტენლის თასი ბოლოჯერ მოიგეს, გუნდმა მხოლოდ ერთი საპლეიფო სერიის მოგება შეძლო.

ამის გამო ძალიან ბევრი „კალგარის“ ანიჭებს უპირატესობას და ფიქრობს, რომ „ალები“ მძლავრი თამაშით ყინულს გააკრავენ ტექნიკური ჰოკეის მოტრფიალე მიჩიგანელებს. მით უმეტეს, რომ კანადელები ტრადიციულად ძლიერი დაცვისა და სუპერმეკარის (მიკა კიპრუსოფი) გარდა, თავდასხმაშიც ჩვეულზე უკეთესად გამოიყურებიან და მხოლოდ კაპიტან ჯერომ იგინლას იმედზე აღარ იქნებიან.

მეორეს მხრივ კი წლევანდელი „დეტროიტი“ ცოტა სხვა გუნდია, ვიდრე თუნდაც შარშან იყო — უფრო დაცვითი და გაცილებით ხისტი. ხოლო დედლაინზე ტოდ ბერტუცისა და კაილ კალდერის დამატებით, ბევრის აზრით, გუნდმა ის სიმძლავრე შეიძინა, რომელიც სათასო ჯახებში აქამდე ასე ძალიან აკლდა.

### ანაჰაიმი (2) — მინესოტა (7)

რეგულარული ჩემპიონატი: ანაჰაიმი 48-20-14; მინესოტა 48-26-8
სეზონის სერია: 2:2

„ანაჰაიმი“ არა მარტო ამ წყვილის, არამედ მთლიანად დასავლეთ კონფერენციის უმთავრეს ფავორიტად არის მიჩნეული — მცველთა სუპერდუეტის, სკოტ ნიდერმაიერისა და კრის პრონგერის წინამძღოლობით ჩაცემენტებული უკანა ხაზის მქონე ლიგის ყველაზე ხისტი გუნდის თამაში პირდაპირ ზედგამოჭრილია პლეი ოფისთვის, სადაც სისწრაფე და ძალა წინა პლანზე გადმოდის ხოლმე. სწორედ ამიტომ „იხვები“ გრძელი სათასო სვლისთვის ემზადებიან და „მინესოტას“ მხოლოდ პირველ დაბრკოლებად განიხილავენ. ერთადერთი, რაც კალიფორნიელთა პრობლემად შეიძლება იქცეს, ისაა, რომ ენდი მაკდონალდ-ტეემუ სელიანეს წყვილის გარდა შემტევი ხაზი ან ძალიან ახალგაზრდა, ანაც დაცვაზე ორიენტირებულია, რაც ალბათ შედეგიანობის მხრივ დიდ პრობლემებს გაუჩენს რენდი კარლაილს.

„მინესოტას“ მთავარი იარაღი კი მწვრთნელი, მთელ ლიგაში ყველაზე ცბიერი და უჭკვიანესი ტაქტიკოსი ჟაკ ლემერია, რომელსაც თავისუფლად შეუძლია, მორიგი ხრიკი “მოიგონოს“ და “იხვები“ მაგრადაც დააპუტინოს თავის “ველურებს“.

### ვანკუვერი (3) — დალასი (6)

რეგულარული ჩემპიონატი: ვანკუვერი 49-26-7; დალასი 50-25-7
სეზონის სერია: 2:2



რობერტო ლუონგო „ვანკუვერის“ მთავარი იმედია

ამ დაპირისპირების მთავარი ინტრიგა იმაშია, თუ რამდენად გაუმკლავდება „დალასის“ თავდასხმა სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარე რობერტო ლუონგოს. ამ ბიჭის დამატებით „ვანკუვერი“ წლეულს სულ ახალ ამპლუაში წარდგა — როგორც წესი, „კენექსი“ ცდილობს, სწრაფად დაწინაურდეს, რის შემდეგადაც ლუონგოს იმედზეა, რომელიც თავის მხრივ უმრავლეს შემთხვევაში მოპოვებულ უპირატესობას ანარჩუნებინებს ხოლმე გუნდს.

ამიტომ ამ წყვილში „დალასის“ მთავარ ამოცანად ლუონგოს მალე „გატეხვა“ რჩება — ეს ბიჭი თავის პირველ პლეი ოფშია და თავიდან აუცილებლად ინერვიულებს, რითაც ტეხასელებმა მაქსიმალურად უნდა ისარგებლონ, თორემ კანადელთა მეკარემ საკუთარი ძალების თუ ირწმუნა, მარტო ამ სერიის მომგები კი არა, გუნდის ფინალამდე გამთრევიც არის.

### ნეშვილი (4) — სან ხოსე (5)

რეგულარული ჩემპიონატი: ნეშვილი 51-23-8; სან ხოსე 51-26-6
სეზონის სერია: ნეშვილმა მოიგო 3:1

შარშანდელის გადამღერებად ქცეული ეს ჯახი, ბევრის აზრით, ყველაზე შემტევი და ლაღი უნდა გამოდგეს. „სან ხოსეს“ ლიგაში ალბათ ყველაზე ძლიერი თავდასხმა ჰყავს და შემტევთა ოსტატობით ეცდება ფონს გასვლას. „ზვიგენთა“ პრობლემას დაცვის ხაზი წარმოადგენს, რადგანაც აქ ბლომად ახალგაზრდა, შესაბამისად კი გამოუცდელი ხალხია თავმოყრილი.

„ნეშვილისთვის“ კი დიდი მნიშვნელობა ექნება ტრავმირებულების — სტივ სალივანისა და მარტინ ერატის მწყობრში ჩადგომასა და დედლაინზე აყვანილი პეტერ ფორსბერგის თამაშს, რომელმაც სწორედ აქ უნდა წარმოაჩინოს ლიდერის თვისებები. ხოლო ვინაიდან „სან ხოსე“ მეტობაში თამაშით ლიგაში საუკეთესოა, „ნეშვილს“ სასტიკად ეკრძალება უაზრო ჯარიმების აკიდება, თორემ „ზვიგენების“ ყბებს ნამდვილად ვერ გადაურჩებიან.

წესით, კალიფორნიელები წლეულსაც გამარჯვებული უნდა გამოვიდნენ ამ წყვილიდან, ოღონდ საეჭვოა, შარშანდელივით ხუთ მატჩში ჩაეტიონ.

**ბახა ლომაშვილი**

## პლეი ოფის პირველი წრის განრიგი

| | |
|---|---|
| **ბუფალო (1) — აილენდერსი (8)**<br>12, 14, 16,18, 20, 22, 24 აპრილი | **დეტროიტი (1) — კალგარი (8)**<br>12, 15, 17, 19, 21, 22, 24 აპრილი |
| **ნიუ ჯერსი (2) — ტამპა (7)**<br>12, 14, 16, 18, 20, 22, 24 აპრილი | **ანაჰაიმი (2) — მინესოტა (7)**<br>11, 13, 15, 17, 19, 21, 23 აპრილი |
| **ატლანტა (3) — რეინჯერსი (6)**<br>12, 14, 17, 18, 20, 22, 23 აპრილი | **ვანკუვერი (3) — დალასი (6)**<br>11, 13, 15, 17, 19, 21, 23 აპრილი |
| **ოტავა (4) — პიტსბურგი (5)**<br>11, 14, 15, 17, 19, 22, 24 აპრილი | **ნეშვილი (4) — სან ხოსე (5)**<br>11, 13, 16, 18, 20, 22, 24 აპრილი |

**პირველი, მეორე და საჭიროების შემთხვევაში მეხუთე და მეშვიდე მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე, ხოლო მესამე, მეოთხე და საჭიროების შემთხვევაში მეექვსე მატჩები მეორე გუნდების მოედნებზე**

# ჩიკაგო პირველი აირჩევს

**გუშინ** ნიუ იორკში ნჰლ-ის დრაფტის ლატარია გაიმართა, რომელიც ახალი გამოგონილია და მხოლოდ მეორე წელია, რაც ტარდება. ადრე დრაფტის ნომრები შემდეგნაირად ნაწილდებოდა — რაც უფრო დაბალ ადგილზე ამთავრებდა გუნდი ჩემპიონატს, დრაფტზე მით უფრო მაღალ ნომერს იღებდა. მაგალითად, ჩემპიონატის უარეს გუნდს დრაფტზე პირველი არჩევანი ხვდებოდა. მაგრამ ლოკაუტის შემდეგ შემოღებული წესებით ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ხუთი ყველაზე.ცუდი გუნდი ერთმანეთში ათამაშებს დრაფტის ნომრებს.

გუშინ სწორედ ასეთი რამ მოხდა, რომელშიც ყველაზე მეტად „ჩიკაგოს“ გაუმართლა — „ბლეკჰოქსს“ წლევანდელ დრაფტზე პირველი არჩევანი ერგო. მეორედ „ფილადელფია“ აირჩევს, რომელსაც მოჰყვებიან „ფინიქსი“, „ლოს ანჯელესი“ და „ვაშინგტონი“.

ამის შემდეგ დრაფტის არჩევანი დაკავებული ადგილების მიხედვით ნაწილდება — მეექვსე „კოლუმბუსი“ იქნება, რომელსაც მოსდევენ „ბოსტონი“, „სენტ ლუისი“, „ფლორიდა“, „კაროლინა“, „მონრეალი“, „ტორონტო“ და „კოლორადო“.

საკუთრივ დრაფტი კი 22 ივნისს კოლუმბუსში, „ნეშნვაიდ არენაზე“ გაიმართება.

**ბახა ლომაშვილი**

# კოლორადოს ჯო



**„კოლორადომ“** ერთი წლით გააზანგრძლივა კონტრაქტი კაპიტან ჯო საკიკთან. პარადოქსი ის იქნებოდა, ეს რომ არ მომხდარიყო — 37 წლის ვეტერანმა ხომ მორიგი დიდებული სეზონი ჩაატარა და ხუთწლიანი შესვენების შემდეგ პირველად მოაგროვა 100 ქულა.

ამ ასაკში 100 ქულის დაგროვება მართლაც ფანტასტიკაა — მხოლოდ გორდი ჰოუ იყო საკიკზე ასაკოვანი, ვინც იმავეს მიაღწია. „მისტერ ჰოკეიმ“ 100 ქულიან თამასას ბოლოს 40 წლის ასაკში უწია.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ „კოლორადოს“ ხელმძღვანელობას ბევრი ფიქრი არ დაუწყია — გუნდმა კაპიტანი შეინარჩუნა, საკიკი კი ჯიბეს 6,75 მილიონით შეივსებს.

**ბახა ლომაშვილი**





# კრიკეტს დედა უკვდება

**საკმაოდ** ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კარიბეთში მიმდინარე კრიკეტის მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას ვაგრძელებთ. იქ ბატალიები სულ უფრო იძაბება, რადგანაც ნაკრებები ნახევარფინალში მოხვედრისთვის იბრძვიან.

მოგეხსენებათ, ახლა ერთმანეთში „სუპერრვაში“ შეკრებილი, ანუ ჯგუფური ეტაპის დამძლევი ნაკრებები არკვევენ ურთიერთობებს — ამ რვიდან კი ნახევარფინალში საუკეთესო ოთხი გადის და ამიტომაც მაგარი ჯახები იმართება.

ოღონდ ეგაა, რომ ორმა ნაკრებმა ფაქტობრივად გაინაღდა ნახევარფინალში ადგილი — როგორც მოსალოდნელი იყო, ეს იღბლიანები (უფრო კი ძლიერები) სამხრეთელები აღმოჩნდნენ, რომლებსაც ჯერ დამარცხების სიმწარეც არ უგემიათ. ავსტრალიელები და ზელანდიელები მართლაც გასაოცარი ჩუბინობით იქნევენ თავიანთ ტაფელებს, რის გამოც მათ ჯერაც ვერაფერს უხერხებენ.

ამ სამხრეთულ იდილიას მხოლოდ სამხრეთ აფრიკა არღვევს, რომელიც ჩვენ ლიდერებს შორის კი დავტოვეთ, მაგრამ ბანგლადეშთან წაგებამ მათი შანსები საკმაოდ შეამცირა. მართალია, აფრიკელები მეოთხე, ანუ ნახევარფინალში გამსვლელ ბოლო ადგილზე არიან, მაგრამ მდევრებზე ერთი მატჩით მეტი აქვთ ჩატარებული, რაც მათ სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებს.

ჩემპიონატის უმთავრეს აღმოჩენად ისევ შრი ლანკა რჩება, რომელსაც ჯგუფური ეტაპიდან ინდოეთის დაფრენა არ ეყო და ახლა „სუპერრვიდან“ გასვლის რეალური პრედენდენტიცაა — კუნძულელები მესამე ადგილზე არიან, რასაც ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ ინგლისთან ძალიან დაძაბულ ჯახში გამარჯვებით მიაღწიეს.

ინგლისელები ვახსენეთ და აქვე ვთქვათ, რომ კარიბეთში დიდი ბაქიბუქით ჩასულებს, თითქმის ყველამ მოუგო. კრიკეტის გამომგონებლებს ყოფილ თანაგუნდელებთან, მსოფლიო ჩემპიონატების დებიუტანტ ირლანდიელებთან აღმოაჩნდათ დიდი გული, თორემ სხვა ყველა მატჩი წააგეს და ახლა კატასტროფის წინაშე დგანან — კატასტროფის იმიტომ, რომ ინგლისში ჩემპიონობის გარდა, სხვა ნებისმიერი შედეგი კოშმარად აღიქმება, ხოლო წმინდა გიორგის ჯვრიანი დროშის ქვეშ მოთამაშე ნაკრები ჩემპიონობისგან კი არა, ნახევარფინალში გასვლისგანაც ძალიან შორს არის.

**ბახა ლომაშვილი**

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა


„ბაიერნმა“ „მილანს“ ვერაფერი დააკლო

AFP

# მილანმა ბაიერნი ოთხში ამოიღო

**ბაიერნი (გერმანია) 0:2 *მილანი (იტალია)* (2:2)**
0:1 ზეედორფი (27), 0:2 ინძაგი (31)
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ოტლი (სანტა კრუზი 46), ვან ბომელი, ჰარგრივსი, ლელი (გიორლიცი 77), მაკაი (კ. პიზარო 61), პოდოლსკი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო (კაფუ 87), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (გურკუფი 80), კაკა, ინძაგი (სერჯინიო 70)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ვან ბომელი (47), სალიჰამიჯიჩი (63)
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
66 000 მაყურებელი

***ლივერპული (ინგლისი)* 1:0 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (3:0)**
1:0 კრაუჩი (67)
ლივერპული: რეინა, არბელოა, ჰიიპია, აგერი (პალეტა 79), რიისე, პენანტი, სისოკო, ხაბი ალონსო (მ. გონსალესი 72), ზენდენი, კრაუჩი, ბელამი (ფაულერი 17)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
პსვ ეინდჰოვენი: გომესი, მარსელისი, ადო, სიმონსი, სალსიდო, ფეჰერი (სუნი 63), კოკუ, ვაირინენი, კულიბა, ა. კონე (ვან ეიდენი 72), ფარფანი (კლუივერტი 63)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: სალსიდო (42)
გაძევება: მარსელისი (64)
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
41 447 მაყურებელი

**პირველ** ტაიმში იყო ოთხწუთიანი მონაკვეთი, როდესაც „მილანმა“ „ბაიერნს“ ნახევარფინალში გასვლის ოცნება მოუკლა. ამ დღეს მიუნხენის „ალიანს არენაზე“ ცნობილმა გერმანულმა უტეხმა სულმა „ბოლო წუთის“ შედეგი ველარ მოიტანა, სტუმრებმა აშკარად აჯობეს მასპინძლებს.

პირველი გოლი 27-ე წუთზე „შავწითლების“ ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა კლარენს ზეედორფმა საჯარიმოს გარედან მოზომილი დარტყმით გაიტანა, მეორე კი 31-ეზე მისი ზურგ-პასით ფილიპო ინძაგიმ შეაგდო. აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ ეპიზოდში იტალიელი ფორვარდი თითქოს ოფსაიდში იდგა.

სულ თავიდან კი ანგარიშის გახსნა მასპინძლებს შეეძლოთ: მარკ ვან ბომელის ჩაწოდებული ბურთი კრისტიან ლელმა შორეული ძელისკენ გაგზავნა, თუმცა მილანელები მისი კარში შევარდნისგან მასიმო ოდომ იხსნა.

ბავარიელთა რიხი ტრიბუნებზეც კარგად ჩანდა — ქომაგებს აკროპოლისის უზარმაზარი პლაკატი ჰქონდათ გადმოფენილი, ხოლო აკროპოლისი იმ შუაშია, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ფინალი ათენშია დანიშნული. ამასობაში მოედანზე სტუმრების სიმტკიცე როი მაკაიმ და ლუკას პოდოლსკიმაც მოსინჯეს, მაგრამ ვაგლახ, თამაში იმ სცენარით მიდიოდა, თითოეული შეცდომა ძალიან ძვირად რომ ჯდება და მართლაც, მოხდა ის, რის შესახებაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

შესვენების შემდეგ მიუნხენელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა ანდრეას ოტლის მაგივრად საქმეში როკე სანტა კრუზი ჩართო, ანუ შეტევა გააძლიერა, მაგრამ მასპინძელთა დიდი მოწადინებისა და მეტოქის საჯარიმოში შექმნილი რამოდენიმე არეულობის მიუხედავად, ანგარიში არ შეცვლილა და შედეგად, 24 აპრილს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს“ „მილანი“ დაუპირისპირდება.

რაც შეეხება წუხანდელ მეორე თამაშს, ის დიდ სიურპრიზებს იმთავითვე არ გვპირდებოდა: „ლივერპულს“ პსვ-სთან ეინდჰოვენშივე ჰქონდა 3:0 მოგებული და საპასუხო შეხვედრაში ანგარიში, უბრალოდ, გაათხა.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში მასპინძელთა თავკაცმა რაფა ბენიტესმა თავს ჯეიმი კარაგერისა და სტივენ ჯერარდის დასვენების უფლება მისცა, ხოლო სტუმრების შეფმა რონალდ კუმანმა ჩემპიონთა ლიგაში პირველად ათამაშა მანამდე დაშავებული დირკ მარსელისი. სხვათა შორის, შეხვედრის პირველი მომენტი სწორედ სტუმრებმა შექმნეს — კაპიტანმა ფილიპ კოკუმ ბურთი პერუელ თავდამსხმელს ჯეფერსონ ფარფანს ჩაუკიდა და მანაც მეკარე პეპე რეინას შეუმოწმა ყოჩაღობა.

სხვათა შორის, გამარჯვებულ „ლივერპულს“ არც გაუმართლა: მე-17 წუთზე კრეიგ ბელამი დაუშავდა და თან ისე, რომ შესაცვლელი გაუხდა. ბელამის მაგივრად ბენიტესმა უბერებელი თუ დაბერებული რობი ფაულერი შეიყვანა. შემდეგ კი პიტერ კრაუჩმა დაარტყა თავისებური, მისებრ მაღალი კაცისთვის თითქოსდა შეუფერებელი, ოღონდ ვერ გაიტანა, ბურთი მეკარე ეურელიო გომესმა მოიგერია.

თამაშის სხვა წვრილმანებზე საუბარს აქ აღარ დავიწყებთ, უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ ზემოთ დირკ მარსელისი ვახსენეთ. ის 64-ე წუთზე ბუდევინ ზენდენის წინააღმდეგ უხეშობისთვის გააძევეს და ამ გაძევებამ პსვ-ს ცუდი სამსახური გაუწია: გომესმა კარლოს სალსიდოს დარტყმული მოიგერია, მაგრამ მოგერიებული ფაულერმა იხელთა, კრაუჩს გადაუგდო და მანაც ჩემპიონთა ლიგაში მეექვსე ზეიმი მოიწყო.

**ბაკუნა ძიძია**


პიტერ კრაუჩის ერთადერთი გოლი

AFP

## ნახევარფინალი

24 აპრილი – 2 მაისი
**მანჩესტერი — მილანი**
25 აპრილი – 1 მაისი
**ჩელსი — ლივერპული**

### ინგლისი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
ნორსვიჩი 2:0 დაგენემი

### იტალია
სერია C1/A
გადადებული მატჩი
სასუოლო 2:1 გროსეტო

### სლოვენია
პირველი ლიგა
XXVII ტური
პრიმორიე 1:2 ნოვა გორიცა
ბელა კრაინა 0:2 პუბლიკუმი
დრავა 1:2 დომჟალე
ფაძტორი 1:2 მარიბორი
ნაფტა 1:0 კოპერი

### უნგრეთი
თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები
*ჰონვედი* 2:1 მტკ (2:2)
ზალაეგერსეგი 3:3 *დიოშდიორი* (1:2)

### თურქეთი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ტრაბზონი 0:1 ერჯიესი
ბეშიქთაში 1:0 ფენერბაჰჩე

### პოლონეთი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
გროცლინი 1:0 კრაკოვია

### ბულგარეთი
თასის მეოთხედფინალი
*ბეროე* 1:0დ.დ.(0:0) ცსკა
*ლიტექსი* 2:1 სლავია
*ლოკომოტივი (პლ)* 1:0 ვიჰრენი
პირინი 0:0(პენ.2:4) *ლევსკი*

### სერბეთი
სუპერლიგა
პლეი ოფი. II ტური
ბეჟანიჯა 1:0 მლადოსტი
ჰაიდუკი 0:0 ვოივოდინა
ცრვენა ზვეზდა 1:0 პარტიზანი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეჟლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge